

# ლიტერატურის ისტორია

## ნესტან სულავა

დაამთავრა მარტვილის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ – თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი (კლასიკური ფილოლოგია). სწავლა გააგრძელა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რუსთველოლოგიის სპეციალობით. 1978 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „რუსთაველი და ძველი ქართული სასულიერო პოეზია“, ხოლო 1997 წელს სადოქტორო დისერტაცია – „XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფიის მხატვრული სპეციფიკა“. 1999-2006 წლებში მუშაობდა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 2001 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 2007 წლიდან არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, 2009 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. მეცნიერული კვლევის სფერო: ჰიმნოგრაფია და რუსთველოლოგია.



## XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები

### (XX საუკუნის I ნახევრის პროზა)

**პრეამბულა.** ყოველი კულტურული სახელმწიფოს ყველაზე ელიტარული რესურსია მეცნიერება, კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, რომლებიც ერის სულიერ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს წარმოაჩენენ და რომლებითაც წარდგება ნებისმიერი ერი კაცობრიობის წინაშე. ასეთია ქართული ლიტერატურაც, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის, ქრისტიანული ლიტერატურის ორგანული ნაწილია და მას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურათა შორის. ლიტერატურა, სხვა უმნიშვნელოვანეს სფეროებთან ერთად – მეცნიერება, კულტურა, ისტორია, ხელოვნება, – არის ის სავიზიტო ბარათი, რომლითაც

წარდგება სხვა ერების წინაშე ქართველი ერი, და საზოგადოდ, ნებისმიერი ერი. აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარი, განსხვავებული ტიპის კულტურათა ნაყოფიერი თანაარსებობის სამყარო არის ის ისტორიული რეალობა, რომლის გათვალისწინებითაც ვითარდებოდა და უნდა განვითარდეს ქართული ეროვნული ცნობიერება, რომლის გამოვლინების ერთ-ერთი უძირითადესი სფერო სწორედ ლიტერატურაა; იგი სახეობრივად აღიქვამს და გადმოსცემს სამყაროს, მასში მიმდინარე მოვლენებს, რაც მხატვრული აზროვნების საფუძვლად გვევლინება.

საზოგადოება და კულტურა, პოლიტიკა და კულტურა, სხვადასხვა რელიგიური სისტემა და კულტურა, წარსულის მემკვიდრეობა და თანამედროვეობა საკითხთა ის წრეა, რომელიც ყოველთვის აქტუალური იყო, არის და იქნება მსოფლიო სამეცნიერო კვლევის კონტექსტში. თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე შექმნილი სულიერ-ინტელექტუალური საგანძური, გენეტიკურ და ტიპოლოგიურ სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურულ-კულტურულ სამყაროსთან. IV საუკუნიდან მოყოლებული, რა დროიდანაც შემოგვენახა ლიტერატურული ნაწარმოებები, ქართული ლიტერატურა, ერთი მხრივ, სულიერად და ზნეობრივად ზრდიდა, მხნეობას უყალიბებდა ქართველ ერს, რაც მისი ფიზიკური გადარჩენისა და არსებობის საფუძველი და გარანტი იყო, მის ინტელექტუალურ ცხოვრებას წარმართავდა, მეორე მხრივ, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებსა და სააზროვნო სისტემებს ეხმიანებოდა, მეზობელი და შორეული ქვეყნების ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობდა. ქართულ ლიტერატურაში, რომელიც თავისი არსითა და დანიშნულებით უნიკალურია, სხვა ქვეყნების ლიტერატურათა დარად, აკუმულირებულია ერის სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობები და მონაპოვარი.

თანამედროვე მეცნიერული კვლევის დონეზე ქართული ლიტერატურის ადგილისა და როლის განსაზღვრა აუცილებელია ორი მიმართულებით: 1. რა ადგილი დაიკავა მან საკუთრივ ქართველი ერის სულიერ, ინტელექტუალურ და ყოფით ცხოვრებაში, 2. მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, რასაც ორგვარი ინტერპრეტაცია სჭირდება: ა) რა შესძინა ქართულმა ლიტერატურამ მსოფლიო ლიტერატურას და ბ) რა შეიძინა თავად ქართულმა ლიტერატურამ მსოფლიო ლიტერატურისგან. აქედან გამომდინარე, მხატვრული

აზროვნების განვითარება უნდა განვიხილოთ ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ქრილში, ანუ სინქრონიულ-დიაქრონიულ ასპექტებში თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნათა შესაბამისად. აუცილებელია მისი შეფასება როგორც ისტორიული თვალსაზრისით, ისე თანამედროვეობის თვალსაწიერიდან; უნდა განისაზღვროს, როგორ შედის იგი ქართველი ერის ცხოვრებაში და რა შეუძლია შეჰმატოს მსოფლიო ლიტერატურასა და კულტურას, როგორ ეხმიანება მსოფლიო და ქართულ სააზროვნო სისტემებს, რაც მოითხოვს ორგანული და ტიპოლოგიური კავშირების შესწავლა-დაზუსტებას მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებთან მიმართებით.

საზოგადოდ, ყოველი ქვეყნის ლიტერატურა თავისი ქვეყნის ძველი და თანამედროვე საზოგადოებრივი ვითარებისა და პოლიტიკური ისტორიის ცოდნას იძლევა, რადგან ყოველი ნაწარმოები იკითხება, როგორც თავისი ეპოქის სულიერი და ინტელექტუალური დონის გამოხატულება, თავისი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლი. ცხადია, ქართული ლიტერატურაც საქართველოს ისტორიის, ქართველი ერის სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლინებაა.

ლიტერატურა სიტყვიერი კულტურის ის სფეროა, რომელიც ესთეტიკის საკითხებისა და სახისმეტყველებითი ძირითადი ასპექტების ცოდნა-გაცნობიერების, ადამიანის შინაგანი სამყაროს წვდომის შესაძლებლობას ქმნის, რადგან ლიტერატურა, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთმცოდნეობაა. რამდენადაც ლამაზია ადამიანის სულიერი და შინაგანი ბუნება, მით უფრო დიდია მასში ლიტერატურული ნაწარმოების გავლენის აღმოჩენის შესაძლებლობა, რადგან თუნდაც ერთი მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ადამიანი უკეთესდება, მისი სამყარო იზრდება. ქართული თუ საზღვარგარეთული ლიტერატურის შესწავლისას უმთავრესი მიზანი მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრაა.

თანამედროვე ქართული ლიტერატურისმცოდნეობა ემყარება და აგრძელებს ძველი საქართველოს კულტურულ-ლიტერატურული ცენტრების – მონასტრებსა და ქართველ მეფე-დიდებულთა კარზე მიმდინარე ლიტერატურული საქმიანობის, მოღვაწეობის გზასა და ტრადიციებს. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მიერ დაარსებულმა ფილოლოგიურ-ლიტერატურისმცოდნეობითმა სკოლამ ჩვენშიც და საზღვარგარეთაც მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა, საერთაშორისო აღიარება და ავტორიტეტი მოიპოვა. ქართული ლიტერატურისმ-

ცოდნეობითი სკოლის უპირველესი მიზანი იყო და არის იმ ღირებულებათა ამოცნობა და შეფასება, რომელიც ნაწარმოებს ჰქონდა უპირველესად თავისი დროისათვის, ამასთანავე, აქვს მომავლისათვის, ვინაიდან მხატვრული ლიტერატურა ჰიპოდემურ-პარადემულ სახისმეტყველებით პრინციპებს ემყარება და მომავლის პერსპექტივებს სახავს, ყოველივე ამის გაცნობა კი აუცილებელია უცხოელი სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირებისათვის; ქართული ლიტერატურა ყოველ ეპოქაში ეხმიანებოდა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს და ჩართული იყო საერთო ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამიტომ უნდა გაირკვეს, თუ რითაა საყურადღებო და ღირებული ქართული ლიტერატურა მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების ლიტერატურისა და ლიტერატურისმცოდნეობისათვის, კულტურული სამყაროსათვის.

ლიტერატურა მხატვრული ენით ნარმოაჩენს ერის ფიზიკურ და სულიერ ცხოვრებას, რისთვისაც მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებსა და საშუალებებს იყენებს და საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ ესთეტიკურ პრინციპებს ემყარება; უწინარეს ყოვლისა, ამას ბიბლია და ბიბლიური სახისმეტყველება მოწმობს. ამის დასტურია, აგრეთვე, მთელი ქართული ლიტერატურა, რომელიც ქართველი ერის სულიერ და ფიზიკურ ისტორიას ნარმოსახავს. მასში მხატვრული სიტყვით მისი წარსული, აწმყო და მომავალია გაცხადებული. ქართული ლიტერატურის ამ თვალსაზრისით შესწავლა და კვლევა აუცილებელია, რათა განისაზღვროს ქართული ლიტერატურის როლი და ადგილი ქართველი კაცის ცხოვრებაში მთელი ისტორიის მანძილზე, ვინაიდან, ლიტურგიულ ცნობიერებასთან ერთად, სწორედ ქართული ლიტერატურა იყო მისი სულიერი და ზნეობრივი აღმზრდელი, იგი ეხმარებოდა ერს თავისი არსისა და ფუნქციის შეცნობაში, უზენაესი მიზნის შემეცნებაში, სულიერი ჰარმონიის ძიებაში. ლიტერატურის როლისა და ადგილის განსაზღვრა ხელს შეუწყობს ადამიანის ცნობიერების, სულიერების აღზრდა-განვითარებას, რომელთა უკმარისობა ამკარად იგრძნობა ამჟამინდელ ტექნოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ საზოგადოებაში.

ლიტერატურა ერის სულიერ-ინტელექტუალურ ცხოვრებაში მის არსობრივ დანიშნულებას განსაზღვრავს, რადგან ლიტერატურა, ხელოვნების სხვა დარგთა მსგავსად, არის სულის ისტორია, სულის ევოლუციის ისტორია, რომელიც არსებითად არ უკავშირდება სა-

ზოგადოებრივ ფორმაციათა ცვალებადობას, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძვრებს, სხვა „მინიერ“ ფაქტორებს. სიტყვაკაზმული მწერლობა, ლიტერატურა სულის უშუალო გამოვლინებაა, გაცხადებაა, რომელიც ღვთისაგან მოდის, რომელსაც შოთა რუსთველმა „სიბრძნის დარგი“ და „საღვთო, საღვთოდ გასაგონი“ უწოდა. მასში ერთობლივად, განუყოფლად მოიაზრება ის, რაც კაცობრიობის არსებობას განსაზღვრავს: სიკეთე, სიყვარული და მშვენიერება, რომლებიც ჭეშმარიტების წვდომის საფუძველს ამზადებენ. ამიტომ ხშირად ძნელდება მხატვრული ლიტერატურის გამიჯვნა რელიგიური და ფილოსოფიური ლიტერატურისაგან, ხოლო სირთულის მიზეზი ისაა, რომ ისინიც სულის ისტორიის მთხრობელნი არიან, სულის გაცხადება-გამოვლინებას ემსახურებიან. ამის გამო, ჩემი აზრით, არაა სწორი ქართული ლიტერატურის დაყოფა სასულიეროდ და საეროდ; არც ძველი, ახალი და უახლესი პერიოდების სახელებები უნდა იყოს მართებული, ვინაიდან ამგვარი კვალიფიკაცია მხოლოდ პირობითია წინა პერიოდებთან მიმართებით და მალევე კარგავს თავის ტერმინოლოგიურ-აქსიოლოგიურ ღირებულებას.

ჩემი მიზანია მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ტენდენციების, ლიტერატურული მიმდინარეობების, მხატვრული აზროვნებისა და ქართული ლიტერატურის ესთეტიკური ფენომენის განსაზღვრის შესახებ მსჯელობა, რათა დადგინდეს ყოველი მწერლის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, აგრეთვე, თითოეული მწერლის ინდივიდუალური ხელწერისა და მემკვიდრეობის ესთეტიკური აქსიოლოგიური მნიშვნელობის გათვალისწინებით – მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია ღმერთისა და პიროვნების, პიროვნების თავისუფლების, პიროვნების ღირსების, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის, პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების საკითხების შესწავლა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის გათვალისწინებით; მისი ტიპოლოგიური მიმართების დადგენა აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურასთან; ეს პრობლემა განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს XX საუკუნის ლიტერატურაში, აგრეთვე, ლიტერატურათმცოდნეობაში და მეტად მნიშვნელოვანია ამჟამადაც, XXI საუკუნის დასაწყისში, ვინაიდან ტოტალიტარულმა, საბჭოთა კავშირში არსებულმა რეჟიმმა თავისი მძიმე დალი დაასვა პიროვნებას, მის ცნობიერებას, გაღრმავდა სულიერი და მსოფლმხედველობრივი კრიზისი, რამაც, კაცობრიობის

თანამედროვე ცხოვრებაში მიმდინარე ქაოტური თუ აბსურდული პროცესების გამო, ხელი შეუწყო სულიერი სიმარტოვის, გაუცხოების გაღრმავებას სამყაროში. იგი მოითხოვს პირუთენელ შეფასებას ახალი ათასწლეულის, ახალი საუკუნის გადასახედიდან, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებიდან გამომდინარე.

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ქრონოლოგიური ზღვრების შესახებ საუბარს დავიწყებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებებით, რადგან მეოცე საუკუნის ლიტერატურის დასაწყისის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა, რაც, ძირითადად, ამ პერიოდის პოლიტიკურ-სოციალური, საზოგადოებრივი და კულტურული ვითარებით იყო ახსნილი. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ერის სულიერი კულტურისა და სოციალურ-პოლიტიკური აღმავლობის ეტაპები ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა. ამიტომ ლიტერატურული პროცესებისა და განვითარების ეტაპების ქრონოლოგიური ზღვრები და მათი სახელდებები არ უნდა ასახავდეს და ემთხვეოდეს პოლიტიკურ-სოციალურ ვითარებას. ის ფაქტი, რომ XX საუკუნის 20-იან წლებამდე ქართულ ლიტერატურაში მარქსისტული იდეოლოგია არ აისახა, სწორედ ამას მოწმობს, მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეოლოგიის დამამკვიდრებელი საქართველოში მრავლად იყვნენ და ქართველები ამ მიმართულებით რუსეთშიც აქტიურად მოქმედებდნენ. XX საუკუნის I ნახევრის ლიტერატურათმცოდნეებმა ლიტერატურის, საზოგადოდ, ხელოვნების განვითარების ტენდენციები და პერიოდები პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენებს შეუსაბამეს და არა ლიტერატურულ მოვლენებსა და ტენდენციებს. იგი „მესამე დასის“ დამკვიდრების დროს, კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების აღმავლობის პერიოდს, საქართველოში მარქსისტული იდეების გავრცელების საწყის ეტაპს, ე.ი. XIX საუკუნის 90-იან წლებს დაუკავშირეს. სწორედ ამ პოლიტიკურ-სოციალურ ვითარებაზე დაყრდნობით ეწოდა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის ლიტერატურას უახლესი, ხოლო მის ფუძემდებლად, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის დამწყებად, როგორც ახალი ლიტერატურული ტენდენციებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ასახვის ფუძემდებლად, XIX საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების დასაწყისის ქართული ლიტერატურის წარმომადგენელი ეგნატე ნინოშვილი მიიჩნის. ე. ნინოშვილის მხატვრული მემკვიდრეობის ამგვარი შეფასება რეალობას არ შეესაბამებოდა, ხოლო მას თავისი, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამგვარი მცდარი შეხედულებების დამკვიდრებას საფუძვლად ედო ის გარემოება, რომ ლიტერატურა, საზოგადოდ, ხელოვნება, პოლიტიკური და სოციალური მოვლენების დანამატად იყო მიჩნეული, – როგორც საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში აღინიშნებოდა, „ზედნაშენად“ იწოდებოდა, – რაც სრულიად მიუღებელია მიუხედავად იმისა, რომ ყოველი პერიოდის ლიტერატურული პრინციპები, ლიტერატურული მოვლენები ეპოქალურ ძვრებსა და ცვლილებებს უკავშირდება და თავისი ეპოქის ცხოვრების მოვლენებს ასახავს. ამავე დროს, XIX საუკუნის ლიტერატურული ტრადიციები XX საუკუნის დასაწყისშიც გაგრძელდა, რადგან ამ პერიოდში ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ ქართული ლიტერატურის კორიფეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა. იშვიათად ზუსტი და საოცარი მიგნება იყო გალაკტიონ ტაბიძის მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლევლობასთან (1907 წელი) დაკავშირებით დაწერილი ეპოქის სულისკვეთების გამომხატველი სიტყვები: „წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“ და ეს ტრაგიკული ფაქტი თავისუფლად შეიძლება XIX-XX საუკუნეების ლიტერატურის მიჯნად აღვიქვათ. თვით ტერმინი „უახლესი“ შეუფერებლად მიმაჩნია XX საუკუნის დასაწყისის, მისი პირველი და მეორე ნახევრის ლიტერატურის აღსანიშნავად. ეს ტერმინი მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე შექმნილ ლიტერატურულ მემკვიდრეობას შეიძლება მიესადაგოს. თუმცა, ალბათ, მალე ისიც დაკარგავს თავის შინაარსს, რადგან „ახალი“ და „უახლესი“ ის ტერმინებია, რომლებიც ძალიან მალე იცვლიან თავიანთ ღირებულებით შინაარსს.

ამ მხრივ ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, მასში შემავალი რესპუბლიკები ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა და ლიტერატურული ცხოვრების, ლიტერატურული მიმდინარეობების ობიექტური, არაიდეოლოგიზებული კვლევა დაიწყო. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, ჩემს ნაშრომში მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები-სა და პრობლემატიკის წარმოჩენას.

XX საუკუნის ლიტერატურის განვითარების პერიოდების განსაზღვრისათვის აუცილებელია დასავლური ლიტერატურული ეპოქების, ტრადიციებისა და მოვლენების გათვალისწინება. დასავლური ლიტერატურა ეძებდა ხერხებს მწერლის შინაგან სამყაროში შინაგანი გზადაკარგულობის, გაუცხოების ასახავად, ამიტომ იმდროინ-

დელ ნანარმოებებში თავს იჩენს სიმახინჯის ესთეტიკა, იმსხვრევა ჰარმონიული ფორმები, რაც მკითხველის პროვოცირებასა და შემოფოთებას ისახავს მიზნად. განახლებისკენ სწრაფვა, რაც ახალმა ეპოქამ მოიტანა, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე განსაკუთრებით გაძლიერდა და ექსპერიმენტის ხასიათი შეიძინა. ამ დროისათვის საკმაოდ ბევრი ლიტერატურული მიმდინარეობა (აგრეთვე, ხელოვნებაში) წარმოიქმნა, რომლებსაც სამეცნიერო ლიტერატურაში, ლიტერატურათმცოდნეობაში დეკადენტურ ან მოდერნისტულ მიმდინარეობებს უწოდებენ. ვფიქრობ, ეს პერიოდები შემდეგნაირად განისაზღვროს:

1. 1900-1910-იანი წლების ლიტერატურა, რომელიც 1921 წლის თებერვლის მოვლენებამდე გაგრძელდა. ეს იყო ძიების პერიოდი, რომელსაც ერთხანს გარდამავალი ხანის ლიტერატურაც უწოდეს. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეს ახალი ეტაპია, რადგან ძველ ლიტერატურულ ტრადიციებს ახალი პროცესები და პრინციპები შეერწყა, რასაც იმგვარი გაგრძელება მოჰყვა, რის გამოც იგი „ევროპეიზაციას“ დაუკავშირეს. ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზაცია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ძირითადად, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნიდან იწყება, მაგრამ ამ ხანმოკლე პერიოდში ახალ საფეხურზე ავიდა. საქართველოში ამ დროს დაიწყო სხვადასხვა მოდერნისტული მიმდინარეობის წარმოშობა, რომელთაგან ჩვენში განვითარდა სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ფუტურიზმი, ავანგარდიზმი და სხვანი. ისინი ზოგჯერ ძალიან სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ კი ყველა ერთდროულად ჩნდებოდა, რის გამოც მრავალი მწერალი ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა მიმდინარეობაში ექცეოდა. 10-იანი წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ე. წ. „ცისფერყანწელები“, აგრეთვე, ის მწერლები, რომლებიც არც ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებას არ მიეკუთვნებოდნენ, კერძოდ, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, თუმცა, მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები მათ „ცისფერყანწელებთან“ აახლოებდა. ქართული პოეზიის, ქართული ლექსის რეფორმატორის სახელი დაიმკვიდრა გალაკტიონ ტაბიძემ, რომელმაც 1914 წელს პირველი პოეტური კრებული, ხოლო 1919 წელს უმნიშვნელოვანესი წიგნი, „არტისტული ყვავილები“ გამოაქვეყნა. სწორედ ამ უკანასკნელმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ პოეზიაში ახალ პოეტურ ერას და XX საუკუნის ყველაზე პოპულარულ, სიახლის შემცველ წიგნად მოგვევლინა. „ცისფერყანწელთა“

პოეზიამ კი ქართული პოეზიის საუკუნოვანი ტრადიციები, მკითხველთან მიეტანათ თავიანთი ერისა და საკუთარი პიროვნული სატკივარი, ევროპული პოეტური ტრადიციებით შეავსო, გადაახალისა და გაამრავალფეროვნა, რამაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა. თუმცა, სიმბოლოებით აზროვნებასა და სალექსო ფორმას გადევნებულებმა მხატვრული თვალსაზრისით მცირე ხნით მიიპყრეს ყურადღება და ამ მიმართულებით თავიანთი შესაძლებლობები მალევე ამოწურეს, რის შემდეგაც კვლავ ტრადიციულ გზასა და გეზს დაუბრუნდნენ.

2. XX საუკუნის მეორე მნიშვნელოვანი პერიოდია 20-იანი წლების ლიტერატურის განვითარების ურთულესი მონაკვეთი, ლიტერატურათმცოდნეობაში იგი, ფაქტობრივად, 1921-1932 წლებითაა განსაზღვრული, როდესაც ტრადიციულ ლიტერატურულ მიმართულებებთან, მიმდინარეობებთან, მხატვრულ-ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან ერთად, საბჭოთა იდეოლოგიური ხასიათის ლიტერატურა მკვიდრდება. 1921 წლის თებერვალში ხანმოკლე, არასრული სამწლიანი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ქართულმა ლიტერატურამაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხვედრი გაიზიარა და კომუნისტურმა იდეოლოგიურმა ფაქტორმა მძიმე დალი დაასვა ლიტერატურულ პროცესებს, ლიტერატურულ ასოციაციათა და ორგანიზაციათა განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში მოსვლამ კომუნისტური პარტიის დადგენილებებით პარტიულ-იდეოლოგიური დიქტატურა ამ პერიოდის ლიტერატურაში დაამყარა. წარმოიქმნა რამდენიმე ლიტერატურული დაჯგუფება, – „არიფიონი“, ფუტურისტული მიმდინარეობა, ავანგარდიზმი, H<sub>2</sub>SO<sub>4</sub> და სხვ., – რომლებმაც 30-იანი წლების შუა ხანებამდე იარსებეს (მეტ-ნაკლებად), ხოლო სისხლიანი რეპრესიების შედეგად, აკაკი ბაქრაძის მოხდენილი სიტყვით, „მწერლობის მოთვინიერება“ თითქმის დასრულდა და ყველა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ არსებობა შეწყვიტა.

3. მესამე პერიოდი 30-იანი წლებიდან დაიწყო და 50-იანი წლების შუა ხანებამდე გაგრძელდა. ლიტერატურათმცოდნეები მას იდეოლოგიური დიქტატურის პერიოდის ლიტერატურას უწოდებენ, რადგან მისი ხასიათი ჩამოყალიბდა სისხლიანი პოლიტიკური რეპრესიების, მეორე მსოფლიო ომის კატაკლიზმებისა და ამ ომში საქართველოს მძიმე პოლიტიკურ-სოციალური ვითარების, საბჭოთა იდეოლოგიური წნეხისა და მარადიული ღირებებულებებისადმი გამოვლენ-

ნილი ფანატიკური დამოკიდებულების, თავისუფალი აზრის უკიდურესად შევიწროების შედეგად. ეს ორი პერიოდი იმითაც გამოირჩეოდა, რომ მწერლობაში შემთხვევითი ადამიანები მოიყვანეს, რომელთაც „განვევით მწერლებს“ უწოდებდნენ, მათ საგანგებოდ ავალებდნენ საბჭოთა ადამიანის ცხოვრების ასახვას, რაც დოკუმენტურ პროზას უფრო წააგავდა, ვიდრე მხატვრულ ქმნილებას. თუმცა იგი არც დოკუმენტური ხასიათისა იყო.

4. XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართულ ლიტერატურაში, მთელი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების ლიტერატურათა მსგავსად, მცირეოდენი ცვლილებები შეინიშნებოდა, რადგან თავისუფალმა სულმა თავისი გაიტანა და თვისებრივად ახალი ლიტერატურის შექმნა დაიწყო, განსაკუთრებით 60-70-იანი წლებიდან, ხოლო 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ლიტერატურულ ცხოვრებას სრულიად ახლებური გზა და გეზი მიეცა. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, რომ მხატვრულმა ენამ, რომელიც ალევგორიითა და სიმბოლოს მეშვეობით ასახავდა სინამდვილეს, სამყაროს, სამყაროში მიმდინარე მოვლენებს და მეტაფორულად გამოხატავდა ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, თავისუფლების კოეფიციენტის ზრდის კვალობაზე, ნაწილობრივ ფუნქცია დაკარგა, ლიტერატურულ-მხატვრული ენა შეიცვალა, რადგან დაფარული, „ესოპეს ენის“ საჭიროება უკვე აღარ იყო. მართალია, გრძელდებოდა და გრძელდება საუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიციები, მაგრამ ალევგორიული ენის როლის დაქვეითებამ ლიტერატურის ერთგვარი კრიზისიც კი გამოიწვია, რადგან თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრება მარადიულ ღირებულებებზე ორიენტირებული ლიტერატურული ნაწარმოებების ნაცვლად, პოსტმოდერნისტული ხასიათის ტექსტებმა წააღწია. აღმოჩნდა, რომ თავისუფლება თავაშვებულობად იქნა აღქმული და ჭეშმარიტი მხატვრული ენის ადგილი უმეტესად მოდურმა უხამსმა, ჟარგონულ-სკაბრეზულმა ენამ დაიკავა, რომელსაც მხატვრულ ენას ნამდვილად ვერ ვუწოდებ. ეს ფაქტი საერთო მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურულ ცხოვრებაში და არაა მხოლოდ ქართული ლიტერატურის სატკივარი. რაც შეეხება ლიტერატურულ კრიტიკას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ლიტერატურული პროცესებისა და ცხოვრების განვითარება, მისი ავტორიტეტი იდეოლოგიურმა ტერორმა ყველაზე მეტად შეურაცხყო და დააზიანა, ხოლო XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძის მიერ დასმული კითხვა – „რა მიზეზია, რომ

კრიტიკა არ გვაქვს“ – დღემდე რიტორიკულ კითხვად დარჩა. მხოლოდ იშვიათი გამონაკლისები თუ შეიძლება დასახელდეს.

ვფიქრობ, რომ XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულმა ცხოვრებამ, ლიტერატურულმა პროცესებმა და მხატვრულ-ესთეტიკურმა პრინციპებმა ძველი ლიტერატურული ტრადიციებიც გააგრძელა და თანდათანობით სიახლევ დაამკვიდრა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე მწერლები სწორედ ამგვარად წარმართავენ თავიანთ შემოქმედებით მოღვაწეობას. საზოგადოებრივ-კულტურულ და პოლიტიკურ-სოციალურ ცხოვრებაში საუკუნეთა მიჯნა არსებით ცვლილებებს ყოველთვის იწვევდა და ქართული მწერლობაც ამგვარი რთული გზით შეუდგა მეოცე საუკუნის ურთულეს ლიტერატურულ-მხატვრულ შემოქმედებით გზას. მწერალთა ნაწილმა, ზემოთაც ითქვა, XIX საუკუნეში დაიწყო მოღვაწეობა და მეოცეში გააგრძელა. მათ რიგს განეკუთვნებიან ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, შალვა დადიანი, იროდიონ ევდოშვილი, შიო არაგვისპირელი და სხვანი, რომელთა მემკვიდრეობის განხილვა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ისინი თავიანთი თხზულებებით სწორედ იმ პრობლემატიკას წარმოსახავდნენ, რაც ამ საუკუნისათვის იყო ორგანული და კონცეპტუალური.

**ვასილ ბარნოვი (1857-1934)** სამწერლო ასპარეზზე XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოვიდა და მისი მხატვრული მემკვიდრეობა XIX საუკუნის დასასრულითა და XX საუკუნის პირველი ნახევრით, 30-იანი წლების დამდეგით, იფარგლება. მისი მოთხრობების დიდი ნაწილი მწერლის თანამედროვე ეპოქალურ სინამდვილეს, სოციალურ, პოლიტიკურ, ეთიკურ-ზნეობრივ პრობლემატიკას ასახავს, თუმცა, მწერლისთვის საქართველოს წარსულის ასახვა ერთ-ერთი უპირველესი მიზანი იყო. ვ. ბარნოვის ლიტერატურული შესაძლებლობები განსაკუთრებით რომანებში გამოვლინდა. მათი თემატიკა ძირითადად ისტორიულია, უმთავრესი ნაწილი რომანებისა ქრისტიანული მრწამსითაა შთაგონებული, რისთვისაც ბიბლიური სიუჟეტები გამოიყენა და თავისებური ინტერპრეტაციები მისცა მათ. მაგრამ ვ. ბარნოვის სარწმუნოებრივი მრწამსი ყოველთვის როდი შეესაბამება ქრისტიანული მსოფლმხედველობის პრინციპებს და დოგმატურ თვალთახედვას. კერძოდ, შეიძლება დავასახელოთ „სვიმონ ხელი“, „ტკბილი დუდუკი“ და სხვ. მიუხედავად მსოფლმხედველობრივი გაორებისა, ვ. ბარნოვმა მეტად საინტერესო თხზულებები დაგვი-

ტოვა, რომელთაგან უნდა გამოვარჩიოთ „ისნის ცისკარი“, „მიმქრალი შარავანდედი“, „ხაზართა სასძლო“, „არმაზის მსხვერვეა“. მკვლევართა და მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულების „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ თემატიკასა და მოტივებზე აგებულმა რომანმა „ტროფობა წამებული“, რომელშიც პირველწყაროს კონცეფცია უარყოფილია და მისგან პრინციპულად განსხვავდება. განსხვავების საფუძველი ავტორების მსოფლმხედველობა, პერსონაჟთა განსახიზნების პრინციპები, დოგმატური საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომა//ასახვა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებია. ფაქტობრივად, იგი გიორგი მერჩულის თხზულების მსოფლმხედველობის საპირისპირო პრინციპების მქონე ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ, განსაკუთრებით სიყვარულისადმი დამოკიდებულების საკითხში, რის ფონზეც წმინდანის ამაღლებული სახე დარღვილი და დაკნინებულია, წმინდანის ეპოქის ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები და მხატვრული სამყარო უგულვებელყოფილია. ცხადია, ეს მწერლის არჩევანი გახლდათ და მთავარი ის იყო, რომ თავის რომანში მან პოლემიკა გამართა დოგმატურ-ქრისტიანულ საკითხებზე. ესაა მსოფლმხედველობრივად მაძიებელი მწერლის რომანი, რომელიც, შექმნიდან მოყოლებული, მეცნიერ-მკვლევართა შორის ყოველთვის ინვევდა კამათსა და აზრთა სხვადასხვაობას.

და მაინც, XX საუკუნის I მესამედის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდესი წარმომადგენელი და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსი დავით კლდიაშვილი გახლავთ (1862-1931), რომლის მოთხრობებმა და დრამებმა სათქმელის აქტუალობისა და მარადიულობის გამო, საზღვრები გადალახა და უცხოეთის მრავალი ქვეყნის თეატრის სცენა დაიპყრო. აქვე უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისი თხზულებების ნაწილი XIX საუკუნეში დაიწერა. მისი „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „სოლომან მორბელაძე“, „უბედურება“, „დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“ და სხვა მოთხრობები თუ პიესები, ერთდროულადაა ქართველი კაცის ცხოვრებისა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლის საქვეყნო და პირადი სატკივარის ამსახველი თხზულება.

დავით კლდიაშვილის თხზულებების საუკეთესო ნიმუშად, სრულიად სამართლიანად, ტრაგი-კომიკური ჟანრის ნაწარმოები „სამანიშვილის დედინაცვალია“ მიჩნეული. ტრაგიზმის საფუძველად საერთო გაჭირვება და სიღარიბე გვევლინება, რასაც საზოგადოე-

ბრივ ფორმაციათა ცვლილებები, შესაბამისად, ცხოვრების გაუსაძლისი პირობები, ქონების ხელახალი გადანაწილების უმძიმესი პროცესები, ადამიანთა დაბნეულობა, დროსა და ვითარებაში გაურკვეველობა და კიდევ სხვა მრავალი მიზეზი განსაზღვრავს. ავტორი ფეოდალური ცხოვრებიდან კაპიტალიზმში გადასვლის მტკივნეულ პროცესს საოცრად ზუსტად გრძნობდა, ხედავდა, რომ იგი საქართველოსაც შეეხო და ამ ეპოქალურ ცვლილებებს ასახავდა. მოთხრობაში მან მამაშვილობის რთული, ზოგჯერ შეთანხმებული, ზოგჯერ დაპირისპირებული ურთიერთობის, მემკვიდრეობითობის უწყვეტობის ზოგადსაკაცობრიო პრობლემა დასვა და ბეკინა და პლატონ სამანიშვილების კომიზმით შეფერადებული ცხოვრების ამსახველი სურათები წარმოაჩინა, რასაც სოციალურ-პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს, რადგან მათ ცხოვრებას პირადულ სოციალურ ვითარებასთან ერთად საქვეყნო სატკივარი, ქვეყნის, სამყაროს საზოგადოებრივი ყოფა და სულიერების კრიზისი განსაზღვრავს.

დავით კლდიაშვილის თხზულებას შეფარული ბიბლიური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურა, აგრეთვე, ქართული ლიტერატურული ტრადიციებიც ირეკლება და წარმართავს, რაც მას ქართული და მსოფლიო ლიტერატურული ტრადიციების მატარებელ ნაწარმოებად აღგვაქმევენებს. მოთხრობის პერსონაჟები ილია ჭავჭავაძის თხზულებებში ასახულ ადამიანებს გარეგნულად არ ჰგვანან, მაგრამ თუ მათ სულიერ ცხოვრებას დაუუკვირდებით, პრობლემურ სიახლოვეს უთუოდ შევნიშნავთ. ილიამ „კაცია-ადამიანში?!“ ლუარსაბ თათქარიძეს შვილი არ მისცა, რადგან მისი გზა, მისივე ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, არ უნდა გაგრძელებულიყო. დავით კლდიაშვილის თხზულებაში კი პირიქითაა ნაჩვენები, თუ როგორ გადააქცია ახალი ადამიანის გაჩენამ, არასასურველი უმცროსი ძმის შეძენამ მშრომელი, პატიოსანი, საკუთარ ცოლ-შვილსა და მოხუცებულ მამაზე გადაგებული, ზრდილი, განონასწორებული, სიტყვაძუნნი პლატონ სამანიშვილი გამხეცებულ ადამიანად. ბიბლიური სახისმეტყველების კვალობაზე, აბელად დაბადებული კენად გადაიქცა. ავტორმა თხზულების მთავარ პერსონაჟს სახელად პლატონი რომ უწოდა, არც ესაა შემთხვევითი ფაქტი, მასში ღვთაებრივი სიბრძნის სინაკლულე იგრძნობა, რამაც ადამიანური სახე დააკარგვინა. ფაქტობრივად, პერსონაჟის სახელი და მხატვრული სახე კონტრასტულია. პლატონის ხასიათი და თვისებები თანხვდება მისივე თანამედროვე ადამიანთა ცხოვრებას, რომელთათვისაც სრუ-

ლიად საკმარისია სიცოცხლისათვის ყველაზე აუცილებლით უზრუნველყოფა, რითაც ისინი თავს ბედნიერად მიიჩნევენ. მაგრამ ცხოვრებამ სამანიშვილების ოჯახს დიდი განსაცდელი მოუვლინა. პლატონს დედის გარდაცვალებამ ახალი სადარდელი შესძინა და ბოლოს უბედურებაც დაატეხა თავს. უბედურება მხოლოდ გარეგნული რომ ყოფილიყო, ეს მოთხრობის თემად ვერ იქცეოდა. მთავარი ისაა, რომ კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდა ადამიანის სული, რადგან კეთილშობილმა, ზრდილმა და თავაზიანმა ადამიანმა ყველაზე ძვირფასი რამ დაკარგა: ღვთის ერთგულება, ღვთის მცნებათა დაცვა, ადამიანის სიყვარული, სულიერ ცხოვრებაზე ორიენტაცია. სულიერებისაგან დაცლამ და ყოფითზე ორიენტაციამ პლატონ სამანიშვილი გააბოროტა და მხეცქმნილ არსებად აქცია, ორსული დედინაცვალი არ დაინდო და სასიკვდილოდ გაიმეტა, ოღონდ ისედაც მცირე ადგილ-მამულში მისი მოცილე არ დაბადებულიყო.

უაღრესად მნიშვნელოვანია მამა-შვილის დიალოგი, როდესაც ბეკინამ შვილს ცოლის შერთვის თაობაზე თავისი გადანყვეტილება ამცნო. მრავალშვილიანი პლატონი მომავლის შიშმა შეიპყრო, რომ მამულის მოზიარე და მოცილე გაუჩნდებოდა. მამამ ერთადერთი ვაჟიშვილის (მას ქალიშვილი უკვე გათხოვილი, ე.ი. დაბინავებული ჰყავდა) ეს შიში არ გაითვალისწინა, მისი სადარდელი არ გაიზიარა და ცოლის შერთვაზე შვილის თანხმობა დაჟინებით მოითხოვა. პლატონი სადედინაცვლოდ ორნაქმარევი, უშვილო ქალის საძებრად მეზობლისაგან ნათხოვარი ჯაგლაგი ცხენით თავადვე გაეშურა და დიდი ძებნის შემდეგ მიაგნო კიდეც. ესეც კონცეპტუალურია, რადგან ყველგან და ყველაფერში ამპარტავენება იგრძნობა, რაც ქრისტიანული თვალსაზრისით მძიმე სენია. ქალის გატაცების იმიტაციაც გაითამაშეს, რაც ნაწარმოებს კომიკურ ელფერს სძენს, ტრაგიკული რომ არ იყოს. თავისთავად, პლატონის მოგზაურობა სადედინაცვლოს საძებრად ერთგვარი მხატვრული ხერხია ახალი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ტიპის პერსონაჟების შემოსაყვანად, რათა მოთხრობა უფრო მდიდარი მხატვრული სახეებით დამშვენდეს. განსაკუთრებით სახიერია კირილე მიმინოშვილი, რომლის მსგავსი პერსონაჟი იშვიათია ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში. ნათლად ჩანს, რომ მას პლატონის ამგვარი გადანყვეტილება სასაცილოდ არ ეყო. მაგრამ საზოგადოების წარმომადგენლებმა, ვინც პლატონის გასაჭირს ჩასწვდა, მას გაუგეს; როგორც ჩანს, პლატონის მცდელობის მსგავსი ქმედებები იმდროინდელ საზოგადოებაში

იმავით არ უნდა ყოფილიყო. უბედურების თავიდან აცილების ყოველგვარი მცდელობისა და თავდაცვითი ქმედებების მიუხედავად, პლატონს სწორედ ძმა შეეძინა და არა და, რაზეც დედინაცვლის ორსულობის შეტყობის შემდეგ ოცნებობდა. აქ იჩინა თავი კაენისა და აბელის ბიბლიურმა ჰიპოდიგმამ, რადგან პლატონი, რომელიც ნამდვილად არ იყო კაენად მოწოდებული და დაბადებული, მაინც კაენის მსგავს პიროვნებად ჩამოყალიბდა თუ გადაიქცა და უმცროსი ძმის წინააღმდეგ ბრძოლა მისი დაბადებიდანვე დაიწყო.

ერთადერთი, რაც ნაწარმოებში იმედს აჩენს, პლატონის ცოლის, მელანოს, კეთილშობილებაა, რომელიც სიბრალულით, თანაგრძნობითა და ღვთისნიერებით ეკიდება ჯერ ახალდაბადებულს და შემდეგ კი წამოზრდილ უმანკო ბიჭუნას, მარადიული დედის მზრუნველობით ცდილობს მომავლის, საკუთარი შვილებისა და პატარა მაზლის სულიერების გადარჩენას, მაზლისა, რომელმაც არც კი იცოდა, თავისი გაჩენით რამდენი უსიამოვნება მოიტანა ამქვეყნად. არადა, ღვთისგან ქმნილ არსებას ხომ აქვს ამქვეყნად არსებობის უფლება? იგი, აბელის უმანკო ცხოვრების მსგავსად ქმნილი, მომავალს იმედით შეჰყურებდა და მის ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანებს გულისყურით ადევნებდა თვალს. დავით კლდიაშვილმა თავისი ტრაგიკომიკური მოთხრობა ამ პათოსით დაამთავრა და მკითხველს მიანიშნა, რომ ყველაფერზე მალლა ღვთისნიერება, მის მცნებათა დაცვა, ადამიანის სულიერებაზე ორიენტირება დგას და ადამიანური ურთიერთობები სწორედ მას უნდა დაემყაროს. საზოგადოებაში არსებული შეუსაბამობა წოდებასა და არსებულ ყოფას შორის უნდა გადაილახოს, დაიძლიოს, ხოლო ეს მხოლოდ სიყვარულით, თანაგრძნობით, ღვთისნიერებითა და სულიერებითაა შესაძლებელი.

XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მწერალთა შორის მეტად საინტერესოა შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი - 1867-1926), რომლის კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა, ერთი რომანის, ლიტერატურულ-ესთეტიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტატიები. მის თხზულებებში დასმული საკითხები მხოლოდ ამ მწერლისათვის არაა დამახასიათებელი, მაგრამ იგი წერდა თავისი ეპოქის აქტუალურ პრობლემებზე. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ფილოსოფიური თვალსაზრისით გააზრება, სოციალური და ეროვნული პრობლემები, საზოგადოებისაგან გარიყული ადამიანის ხვედრი, სიყვარულის პრობლემა – ესაა ის საკითხები, რომლებიც გვხვდება შიო არაგვისპირელის თხზულებებში. მის პერ-

სონაჟთა გაღერეა უაღრესად ფართოა და მრავალფეროვანი, საზოგადოება ხშირად გულქვა და ბოროტია, უღმობლად და მთელი სიხასტიკით ცდილობს მეზრძოლი, კეთილშობილური იდეალებით გულანთებულ პიროვნებათა ჩაქოლვას, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, მათ შორის დაპირისპირებასა და შეუთანხმებლობას ხშირად ტრაგიკული შედეგი მოჰყვება. მწერლის მიზანია საზოგადოების გაფრთხილება, რათა ერთმანეთის მიმართ მეტი ყურადღება და სიყვარული გამოიჩინონ, ყოველი ადამიანი ღვთის შვილია და მას თანადგომა, გამხნეება, სწავლება სჭირდება, რადგან მთავარი ღირსების შენარჩუნებაა და მარადიული ღირებულებების რწმენა უნდა წარმართავდეს ყოველი ადამიანის ცხოვრებას. რაც შეეხება მის ერთადერთ რომანს „გაბზარული გული“, მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, როგორც რომანი-ზღაპარი; მისი არსი ტიცციან ტაბიძემ სავსებით სწორად განსაზღვრა: ეს რომანი „ერთი მთლიანი და მოზღვავებული ნიაღვარია სიყვარულისა. აქ უკვე აღარ ჩანს შიო არაგვისპირელის გამანადგურებელი სკეპტიციზმი და სიყვარულის უარყოფა. პირიქით, რაც ავტორმა მანამდე სიყვარულის უტკბილეს გრძნობას შეურაცხყოფა მიაყენა, ერთად გამოსიყიდა ნამდვილი სოლომონ მეფისეული „ქებათა ქებით“.

**ჭოლა (ბიკენტი) ლომთათიძე (1879-1915)** თავის ნაწარმოებებს სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა, მძიმე ცხოვრებაც გაიარა და გადასახლებაში ჭლეტით დაავადებული ახალგაზრდობის ასაკში გამოესალმა სიცოცხლეს. მისი მოთხრობები „დავითი“, „მატლი“, „სახრჩობელას წინაშე“, „თეთრი ღამე“ სკეპტიციზმს, არსებულთ უკმაყოფილებას გამოხატავს, ეპოქალურ ცვლილებებს ასახავს და თავისი ინდივიდუალური სათქმელი მიაქვს მკითხველამდე. მისი მოთხრობები მეტწილად ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორი მძიმე სოციალური და ფსიქოლოგიური ცხოვრება უნდა ჰქონოდა მწერალს.

პოეტის, პროზაიკოსის, დრამატურგის, მსახიობის, რეჟისორის **შალვა დადიანის (1874-1959)** მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. იგი უმაღლესი არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი, სამეგრელოს მთავრის ოჯახის წევრი იყო და ოჯახშივე მიიღო ბრწყინვალე განათლება. მისი პირველი პოეტური კრებული „ნაპერწყალი“ 1892 წელს გამოქვეყნდა, ხოლო მომდევნო წელს „მარგარიტა გოტიეს“ სპექტაკლში

მონაწილეობით სამსახიობო კარიერა დაიწყო. მწერალი და ქართული სცენის მოამაგე ხედავდა, თუ რა ღარიბი იყო ქართული დრამატურგია და სწორედ ამ მიზნით შექმნა დრამები, კომედიები, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სცენაზე. მისი დრამატული თხზულებებია „მღვიმე“, „გუშინდელნი“, „კაკალ გულში“, „თეთნულდი“, „ბარათაშვილი“. მათში საქართველოს წარსული, აწმყო და ის პოლიტიკურ-სოციალური პერიპეტიები გაცოცხლებული, რომლებიც მისი ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი. კომედიებში სატირული ფორმით ძველისა და ახლის ჭიდილის ჩვენებით გაკრიტიკებულია უსაქმურობა, ბიუროკრატიზმი, მომხვეჭელობა, მექრთამეობა, საზოგადოებისა და პიროვნებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის მანკიერებანი, მხილებულია კოლექტივიზაციის ნაკლოვანებები. ამ მხრივ გამოირჩევა „კაკალ გულში“, რომლის ძირითადი თემა სოციალური რღვევებისა და განწირულობის მძაფრი ასახვაა. იგი ერთგვარი საფუძველიცაა ელდარ შენგელაიასა და რეზო ჭეიშვილის მხატვრული ფილმისა „ცისფერი მთები, ანუ ტიანშანი“. ნაკლოვანებები თითქოს უმნიშვნელო, მეორეხარისხოვანი, წვრილმანი დეტალების ჩვენებითაა მხილებული, თუმცა, მოვლენათა აღქმისა და წარმოსახვის ამ დეტალიზაციაში საოცრად დიდი, განზოგადებული მასშტაბები ძევს.

„გუშინდელნი“ გოგოლის თხზულებებს, განსაკუთრებით „რევიზორს“ გაგვახსენებს. ორივე ნაწარმოებში მთავარი საკითხი უკავშირდება ხელისუფლებისაგან გაგზავნილი რევიზორის//უფროსის მაღალი სტუმრის რანგში ჩასვლას ქალაქის შესამონმებლად. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვინაა იგი, მის სტუმრობას საქმიანი მიზანი არც ჰქონია, მაგრამ მთელი საზოგადოება აღელვებულია და ცდილობს, სტუმარს ასიამოვნოს, სოფლის გასაჭირზე კი არავინ საუბრობს. ტრაგედია ისიცაა, რომ სოფელში არავინ აღმოჩნდა, ვისაც მაზრის უფროსისთვის ხალხის გასაჭირის მოხსენება შეეძლებოდა. ეს დრამა განზოგადებულად წარმოაჩენს ეპოქის მიერ დასმულ მტკივნეულ პრობლემატიკას. შალვა დადიანის დრამებიდან განსხვავებულია „თეთნულდი“, რომელშიც მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემა, ახლისა და ძველის ჭიდილია ასახული. ადამიანისაგან შეუხებელი თეთნულდი სიმბოლოა ქართული ტრადიციებისა, რომელთა ცვლის დრო დამდგარა და რასაც ადვილად ვერ ეგუებინან სვანეთში. დრამა ახალი ცხოვრების დადგომას ეხმიანება და ახლის გამარჯვებით მთავრდება. „თეთნულდის“ გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მწერალ-

მა ახალ წყობასა და ახალ ხელისუფლებას შეუთავსა თავისი შემოქმედებითი მრწამსის გამოხატვა.

შალვა დადიანის შემოქმედებას ამშვენებს რამდენიმე რომანი, განსაკუთრებით „უბედური რუსი“ და „გვირგვინიანების ოჯახი“. „უბედური რუსი“ პირველი სახელწოდებაა რომანისა, შემდეგში მწერალს სათაური შეასწორებინეს და მას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში „გიორგი რუსი“ ეწოდებოდა. არადა, ძველი სათაური მეტაფორულია და სინამდვილეს წარმოსახავს, რადგან გიორგიდ წოდებულმა იური ბოგოლიუბსკიმ, რუსეთის მეფის ანდრია ბოგოლიუბსკის ძემ, სიკეთის ნაცვლად, საქართველოს უბედურება მოუტანა. თხზულებას საფუძვლად უდევს ქართველთა სათაყვანებელი მეფე ქალის, თამარის რუს უფლისწულთან უიღბლო ქორწინების ამბავი, რისთვისაც მწერალმა დანვრილებით შეისწავლა ისტორიულ წყაროებში არსებული მასალები და სიღრმისეულად გაიაზრა ისტორიული სინამდვილე. რომანი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების საქმეში ქართველი ერის მისიას, ქართული საზოგადოების სულიერ-ინტელექტუალურ როლს, ჩვენი ეროვნული მეობისათვის საჭირობოროტო საკითხებს ასახავდა. იგი მთლიანობაში ალეგორიულად და სიმბოლურად გაიაზრება, რადგან საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში შეიქმნა.

მეორე დაუსრულებელი რომანი „გვირგვინიანების ოჯახი“ ერთი ოჯახის შესახებ დანერილი საგაა. იგი რევოლუციის პერიპეტიებს შეეხება, არისტოკრატიასა და რევოლუციურ ძალებს შორის მძაფრ კლასობრივ დაპირისპირებას გამოხატავს და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სპექტრს წარმოაჩენს. მართალია, ეპოქალურად რომანის მოქმედება შემოფარგლულია, მაგრამ ალუზია და სიმბოლიკა გამჭვირვალეა, იგი დროში დასაზღვრული არაა. უაღრესად საინტერესოა შალვა დადიანის მოგონებები „ჩემი მარაო“, რომელშიც ახლო წარსულის მრავალი ისეთი ფაქტია ასახული, რომლებიც უთუოდ იმსახურებდა ყურადღებას.

**ნიკო ლორთქიფანიძე (1880-1944)** თავისი არაჩვეულებრივი ნოველებითა და მინიატურებით თვისებრივად ახალ ლიტერატურულ ტენდენციებს ჩაუყარა საფუძველი. ევროპული განათლების მქონე მწერალი ევროპული ლიტერატურული მიმდინარეობების, მოდერნიზმისა და იმპრესიონიზმის, მეტწილად ამ უკანასკნელის, მიმდევარი იყო და მისმა იმპრესიონისტულმა თხზულებებმა მკითხველს წარუშლელ შთაბეჭდილებებს ახდენენ მკითხველზე. იმპრესიონიზმი,

როგორც მხატვრულ-ესთეტიკური მეთოდი, ძირითადად, მხატვრობისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ იგი მწერლობამაც შეითვისა, რადგან ფაქტებისა თუ მოვლენების აღქმით მიღებული შთაბეჭდილებებით იქმნებოდა. სახელწოდება „იმპრესიონიზმი“ (ფრანგ. იმპრესიონ - შთაბეჭდილება) პირველმა ხელოვნების კრიტიკოსმა ლუი ლერუამ გამოიყენა, როდესაც 1874 წელს მკაცრად გააკრიტიკა კლოდ მონეს ნახატი სახელწოდებით „შთაბეჭდილება. მზის ამოსვლა“. იმპრესიონისტული სურათისა და ტექსტის აღქმა შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული დეტალების ერთ მთლიანობაში მოქცევის შედეგად. იმპრესიონისტმა მხატვრებმა და მწერლებმა დაკარგეს სამყაროს შემეცნებადობის რწმენა. მათთვის სამყარო უკიდურესად არამდგრადი და ცვალებადია, რის გამოც შესაძლებელია მხოლოდ სინამდვილის ცალკეული დეტალების გადმოცემა, ძირითადი აქცენტები სიმბოლოების მეშვეობით კეთდება; იმპრესიონისტულ ესთეტიკაში, მხატვრულ სამყაროში მთავარია წუთიერი შთაბეჭდილებები და განწყობა, რომელთა გადმოსაცემად შემოქმედი ადამიანები განსაკუთრებულ გამომსახველობით ხერხებს იყენებდნენ: მწერლობაში - ბგერწერას, ფერების აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს, ხმოვანთა ჰარმონიას, საგნების დაშლას შთაბეჭდილებებად; მხატვრობაში - კონტურების ნაშლას, მონასმების ტექნიკას, საგნების დაშლას ფერებად. იმპრესიონისტულ ნაწარმოებებში იშვიათია მოქმედება, მცირე პროზაული ან პოეტური ტექსტები უმეტესად ბუნების, ზოგჯერ ოდნავ სევდიან და მელანქოლიურ, აღწერას ეთმობა. იმპრესიონისტის თვალით დანახული სამყარო ბუნდოვანია, რის გამოც ხშირად იშლება ზღვარი სინამდვილესა და ზმანებას შორის. ამას ხელს უწყობს ე. წ. დეპეშური სტილიც, რაც დაუსრულებელი და ურთიერთდაუკავშირებელი წინადადებების, მრავალწერტილისა და ტირეს ხშირ გამოყენებას გულისხმობს, რაც ესოდენ დამახასიათებელია ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებისათვის.

მწერალი ახალგაზრდობიდანვე შეეცადა, კაცობრიობისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხებისათვის თავისებური ახსნა მოეძებნა და ინტეპრეტაცია მიეცა. მის პროზას გასდევს სიმბოლურ-ალეგორიული ქვეტექსტები, ხოლო სიტყვიერი ლაკონიურობა და საოცრად ლაპიდარული სტილი კიდევ უფრო მძაფრად შეაგრძნობინებს მკითხველს ადამიანთა ტრაგიკულ ხვედრს, სამყაროში მიმდინარე პროცესებს, სამშობლოს მძიმე ბედს. მის ადრეულ თხზულებებში აღძრულია მწვავე საზოგადოებრივი და ფილოსოფიური საკითხები,

რომლებიც მწერლის მსოფლმხედველობრივ მრწამსს წარმოაჩენს. „საშობაო მინიატურები“, „გული“, „სანახავათ“, „ლიტერატურული სალამო“ და სხვანი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განსჯის საფუძველს ქმნიან. „გული“ საზღვარგარეთ მყოფი ადამიანის პიროვნულ ტრაგედიას ასახავს, მაგრამ იგი განზოგადებულიცაა, საზოგადო ქართულ ეროვნულ მეობამდეა აყვანილი და ნაჩვენებია, თუ როგორ გაქრა უცხოეთში მყოფ ადამიანში, კონკრეტულ შემთხვევაში, ქართველში, გული, რადგან იგი სამშობლომ შეინირა. „საშობაო მინიატურებში“ სულ სამი დამოუკიდებელი მინიატურაა, თითოეულ მათგანში ღმერთთან დაკავშირებული ადამიანური ნუგეშია ასახული. ერთ-ერთ მათგანში შეპირისპირებულია მაცხოვრის შობა ბეთლემში და მწერლის თანამედროვე ეპოქა: იქ, სადღაც შორს, ბეთლემში 19 საუკუნის წინ იშვა მამკრალთა იმედი და ნუგეში, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი, ხოლო დღეს კი, აქ... და მწერალი საქართველოს, საზოგადოდ, კაცობრიობის სულიერებისაგან დაცლას განიცდის. განსაკუთრებული სიძლიერისაა ერთ-ერთი მინიატურა „იყიდება საქართველო“, რომელსაც აქტუალობა არ დაუკარგავს და დღესაც თანამედროვე პრობლემებს ეხმიანება: „იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით... ჩუქურთმებიანი მონასტრებით...“ მწერალმა სკეპტიციზმი და უიმედო განწყობა სხვადასხვა კუთხით დაგვანახა: ქრისტიანული მსოფლმხედველობის, ეროვნული და პიროვნული კრიზისით.

მაგრამ ეპოქამ ახალი პრობლემა წარმოშვა, ეს იყო შიმშილი, რაც იშვიათი ტრაგიზმით ასახა ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ“. მისი სათაური მეტაფორულია, რადგან ამ ტრაგედიას გმირი არ ჰყავს. ამ ორგვერდნახევრიან ნაწარმოებში ასახულია უმძიმესი ცხოვრება, რომელმაც ადამიანს მამამედიური სიყვარული დაავიწყა, მხეცად აქცია, შვილებს საჭმელი შეუჭამა და საბოლოოდ ორი ობოლი ბავშვის მამა თვითმკვლელობამდე მიიყვანა. სახარება შვილთასხმით ადამიანებს უდიდეს მადლსა და სიხარულს ანიჭებს, რაც ორი ობოლი ბიჭის მამას შიმშილის გრძნობამ დააკარგვინა. არ შეიძლებოდა ამ ნოველის უსახელო პერსონაჟი გმირი ყოფილიყო.

განსხვავებული ტრაგიკული თავგადასავლის მქონეა ნოველის „თავსაფრიალი დედაკაცის“ პერსონაჟი, რომლის სახელსაც მწერალი არ გვეუბნება. ქვრივმა ქალმა სამი შვილი ისე აღზარდა, რომ მათთვის არაფერი დაუკლია, ვაჟები დააქორწინა, ქალიშვილი გაათ-

ხოვა, შვილიშვილებით აივსო, მაგრამ შვილების სიყვარული და მათგან პატივისცემა ვერ დაუმსახურებია. ქალიშვილის ნათქვამმა სიტყვებმა – „შეგენანა“, „მეორე შვილიშვილიც გინდა მოიმადლიერო“, „ამის მეტ საღირალ პატივს არა გცემთ“ – დაანახა, რომ იგი შვილებისთვის ზედმეტად ქცეულა, რის შემდეგაც სასწრაფოდ დატოვა ნაამაგარი ოჯახი. შვილებს დავინწყებული აქვთ ათი მცნებიდან ერთ-ერთი: „პატივი ეც მამასა და დედასა შენსა“. მაგრამ დედამ შვილების სახელსა და ავტორიტეტზე მაინც იზრუნა, წერილი დაუტოვა, სალოცავად წავედი, ნუ მიძებთო. ფაქტობრივად, პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა, ხოლო თვითონ ერთხანს მათხოვრობით ირჩინდა თავს, ბოლოს კი უპატრონოდ გარდაიცვალა. ავტორმა ნაწარმოები მრავლისმეტყველი სიტყვებით დაასრულა: „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“. ნ. ლორთქიფანიძის თხზულებების თემა იყო ისიც, თუ როგორ მოემალათ ადამიანებს ფუძეები ახალი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე და რა სახე მიიღო უმწეო, უპერსპექტივო საზოგადოებამ. ამ მხრივ საინტერესოა „დანგრეული ბუდეები“, „შელოცვა რადიოთი“. ისტორიულ თემაზე დაინერა მისი თხზულებები „რაინდები“, „მრისხანე ბატონი“, „უამთა სიავე“.

პროზაიკოსის, პოეტის, ესეისტის, დრამატურგის **გრიგოლ რობაქიძის (1882-1962)** ცხოვრება და შემოქმედება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, მთელი ეპოქის სატკივარს ასახავს და სისხლიანი ეპოქის პირობებში მოღვაწე შემოქმედის ურთულესი გზის ნიმუშია. ქუთაისის გიმნაზიის დასრულების შემდეგ გრ. რობაქიძე ჯერ ტარტუს უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ კი ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით დაასრულა ლაიპციგის უნივერსიტეტი. გერმანიიდან დაბრუნებული ქართველ სიმბოლისტთა ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი გახდა და მათთან ერთად დააფუძნა ჟურნალი „ცისფერი ყანები“. მისივე აქტიური მონაწილეობით დაარსდა 1917 წელს საქართველოს მწერალთა კავშირი, რომლის პირველი თავმჯდომარე ცნობილი პოეტი და მოღვაწე, ეროვნული გმირის მარო მაყაშვილის მამა, კოტე მაყაშვილი გახლდათ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. მისი უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა ქართული საზოგადოება სტამბოლში. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ფაქ-

ტობრივი ანექსიის შემდეგ გრიგოლ რობაქიძე აქტიურად ჩაება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რისთვისაც ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის წარმომადგენელთა მხრიდან მუდმივ დევნას განიცდიდა. 1931 წელს საბჭოთა კავშირიდან გააღწია და გარდაცვალებამდე პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსით ცხოვრობდა და სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა გერმანიასა და შვეიცარიაში. მისი მოღვაწეობის შედეგად ემიგრაციაში დაარსდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, რომლის ერთ-ერთ ლიდერადაც მოგვევლინა.

მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს უმაღლესი შეფასება მისცეს შტეფან ცვაიგმა, რომენ როლანმა, ნიკოს კაზანძაკისმა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მისმა რომანებმა „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“, „გრაალის მცველნი“, „მეგი, ქართველი ასული“ და სხვა. პოპულარობა მოიპოვა გერმანულ და სხვა ენებზე გამოცემულმა მისმა კრებულმა „კავკასიური ნოველები“. გრიგოლ რობაქიძე არჩეული იყო ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად. აღსანიშნავია, რომ 1960-იანი წლების დამდეგს გადაწყვეტილი იყო მისი წარდგენა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიაზე, მაგრამ 1962 წლის 19 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში და იქვე დაიკრძალა. 1976 წელს ქართველი ემიგრანტების, ნინო და კალისტრატე სალიების, თაოსნობით გრიგოლ რობაქიძე საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე გადაასვენეს. უმემკვიდრო მწერლის ბინა პოლიციამ დალუქა. ბერლინში არსებულ მწერლის არქივს საჯარო ლიკვიდაციაც დაუპირეს, მაგრამ იგი გადარჩა გრიგოლ რობაქიძის შვეიცარიელი მეგობრის ძალისხმევით.

გრ. რობაქიძის პროზაზე უდიდესი გავლენა იქონია ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. მისი რომანების პოეტიკის ბაზისს ქმნის მითოლოგიური დისკურსი - მითოსური პარადიგმები და მითოპოეტური სახისმეტყველება. ამ თვალსაზრისით უნდა გავისხენოთ თვით რობაქიძის დებულება, რომელიც მან ჩამოაყალიბა წერილში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“. სტატია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების რაობის, მხატვრული სისტემის ასახსნელად კონცეპტუალურ ხასიათს ატარებს: „ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმით, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს. ვგულისხმობ მკვლევარს და არა მკითხველს. მკითხველი ხშირად უშუალო განცდით უფრო

ღრმად წვდება რომელიმე ნაწარმოებს, ვიდრე აპარატებით დამძიმებული მკვლევარი“. აქედან გამომდინარე, რობაქიძის რომანების პოეტიკა ა პრიორი ემყარება შინაგანისა და გარეგანის დიალექტიკურ ურთიერთმიმართებას. კერძოდ, რომანებში ასახული ისტორიულ-ემპირიული სინამდვილე, ანუ გარეგანი აღწერა-დახასიათება, იმთავითვე გულისხმობს თავის მეტაფიზიკურ-მითოსურ ძირებს, ანუ შინაგანი სამყაროს გადმოცემას და პირიქით. ყოველ მის რომანში მუდმივად მონაცვლეობს ემპირიული და ტრანსცენდენტური, ფიზიკური და მეტაფიზიკური, ისტორიული და მითოსური, სინამდვილე და მხატვრული გამონაგონი, რაც გრ. რობაქიძის თხზულებათა მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენს ქმნის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გრ. რობაქიძის რომანების – „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“, „მეგი, ქართველი გოგონა“, „ქალღმერთის ძახილი“, რომანის ფრაგმენტი „ფალესტრა“ – მითოსური სახისმეტყველება ძირითადად ბიბლიურ, შუამდინარულ, წინააზიურ-ირანულ, და, რა თქმა უნდა, ქართულ მითოსს ეფუძნება. გრ. რობაქიძის პოეტიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი რომანები, განსაკუთრებით „გველის პერანგი“, იქმნება და ყალიბდება, როგორც რომანის ახალი ტიპი, კერძოდ, როგორც ონტოლოგიური რომანი. მას მიჰყვა ემიგრაციის წლებში შექმნილი რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები: „მეგი, ქართველი გოგონა“ (1932), „ჩაკლული სული“ (1933), „ქალღმერთის ძახილი“ (1934) და „გრაალის მცველნი“ (1937).

უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ რობაქიძის თხზულებებში თავისი მხატვრულობითა და ესთეტიკური ღირებულებით ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც რომანი „გველის პერანგი“ მესახება, რომელშიც მწერლის ძირითად სათქმელს ქართული სულის სიძლიერე, მარადიულობა, ქართველი კაცის „შინისაკენ“ სწრაფვა და საკუთარი ფესვების შემეცნება წარმოადგენს. თხზულების სათაურიც მეტაფორულია, იგი სიმბოლურად ადამიანის სახეცვლის, მაგრამ ფესვებთან მიბრუნების მაუწყებელია. მასში ერთმანეთს ერწყმიან მითებად გარდაქმნილი სინამდვილე და საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ქართული სისხლის უკვდავება, ქართული სულის გენეტიკური უძლეველობა და სიცოცხლისუნარიანობა. ეს პრობლემა დღეს, საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე, უფრო მწვავედ და აქტუალურად გამოიყურება, რადგან ჩვენს ქვეყას თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის //მდებარეობის გამო ცივილიზაციურ სამყაროში საკუთარი ადგი-

ლის მოპოვებისა და დამკვიდრებისათვის მუდმივი, შეუპოვარი ბრძოლა სჭირდება.

მწერალმა რომანის მთავარი გმირის, არჩიბალდ მეკეჰის// მაყაშვილის ცხოვრებისეული თავგადასავალი XX საუკუნის 10-იანი წლების პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენებს დაუკავშირა და აჩვენა, რომ ცხოვრებამ უფესვო და უნარსულო მოხეტიალე ადამიანად აქცია, რადგან ყოფამ, მისმა მაძიებელმა ბუნებამ და ხასიათმა უცხოეთში დიდხანს ატარა და, ფაქტობრივად, ტრაგიკულ პიორვნებად ჩამოაყალიბა. ავტორის მხატვრული კონცეფციიდან გამომდინარე, ამაში დიდი წვლილი ჩრდილოეთის სახელმწიფოს მიუძღვის. რომანში ღრმააზროვნადაა ასახული, თუ როგორ ანგრევს ჩრდილოეთიდან მოვარდნილი რევოლუციური ქარიშხალი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ თვით მეფის რუსეთის იმპერიას, მისი „წითური ჭიხვინი“ ირანის პლატოებსაც მისწვდომია. ამ ფონზე წარმოაჩენს გრ. რობაქიძე არჩიბალდის ლტოლვას სამშობლოსაკენ, სადაც მას თავისი ფესვები ეგულება. არჩილ მაყაშვილმა, არჩიბალდ მეკეჰად ქცეულმა, ურთულესი გზა უნდა გაიაროს, რათა ისევ არჩილ მაყაშვილად იქცეს და გაევროპელებული, თავის სამშობლოსთან გაუცხოებული საკუთარ ფესვებთან დაბრუნდეს. ავტორი ყველა მაყაშვილთა თავგადასავალს, იხსენებს ამ გვარის საუკეთესო წარმომადგენლებს, არც ისაა შემთხვევითი, რომ მის წინაპართა გვარი ირრუბაქიძეებს უკავშირდება, რითაც მწერალი საკუთარ თავსა და ხვედრში აქსოვს ყოველი ქართველის ცხოვრებას, სულიერ სამყაროს. ამიტომ სიმბოლურობით უალრესად დატვირთულია მამასთან, თამაზ მაყაშვილთან შეხვედრა. აქ თავს იჩენს მამაძეობის პრობლემა, რომელიც ესოდენ გავრცელებული თემაა ლიტერატურაში და გრიგოლ რობაქიძის რომანში იგი ერთდროულადაა მითოსური, ბიბლიური და ლიტერატურული ტრადიციებით შთაგონებული. სამშობლოში დაბრუნებული არჩიბალდ მაყაშვილი თავის ნახევარძმას ვამეხს შეხვდა, ხოლო ვამეხს დედისგან ჰყავს და, მატასი, რომელიც სიცოცხლის წყაროს სათავედაა დასახული რომანში. არჩილი და მატასი ერთმანეთისთვის სისხლისმიერი ნათესავები არ არიან, მიხედვად იმისა, რომ მათ საერთო ძმა ჰყავთ, ერთს – მამის მხრიდან, მეორეს – დედის მხრიდან. არჩიბალდის „მინ“, სამშობლოში დამკვიდრების საფუძველი სწორედ მატასი გახდა.

რომანში სხვა მრავალი საინტერესო პერსონაჟია, რომელთაც სიმბოლურად თავიანთი ქვეყნის ინტერესებისა და მდგომარეობის

გამოხატვა ეკისრებათ. მათგან გამორჩეულია ოლგა ბალაშოვა, რომლის ტრაგედიის ჩვენებით მწერალმა რევოლუციური ძალადობა, განუკითხაობა, ომის საშინელება, უსამართლობა შეაგრძნობინა მკითხველს და აჩვენა, რომ ამგვარ მდგომარეობას ყოველთვის ახლავს მსხვერპლი. ოლგა ძალადობის მსხვერპლია; საზოგადოდ, სიმბოლური თვალსაზრისით, ქალში ყოველთვის სამშობლო მოიაზრება; ოლგას ტრაგიკულობა კი იმით ვლინდება, რომ თვით რუსეთის იმპერიასაც მოუწევს მსხვერპლის გალება. ოლგასადმი განუკითხავი, ძალადობრივი დამოკიდებულება რუსების მხრიდან იმას მიანიშნებს, რომ თვით უღმერთობის დამამკვიდრებელი, სულიერად დეგრადირებული, უზნეობის ჭაობში ჩაფლული რუსეთიც თავისი დაუნდობლობითა და სისასტიკით, ცინიზმითა და სარკაზმით განწირულია.

მართალია, გრ. რობაქიძის რომანში „გველის პერანგი“ ასახულია ერთეულის, ანუ კერძო პიროვნების, მარადიული დაბრუნება საკუთარი თავისაკენ და პირიქით, მაგრამ მისი მრწამსი მხოლოდ ამგვარ პრინციპებს არ ეფუძნება. მისი შეხედულებით, ცალკეული არსი, კერძო პიროვნება კი არ უბრუნდება თავის თავს მარადიულად, არამედ მარადიული, როგორც თავად უნოდებდა, თაურსაწყისი, უბრუნდება თავის თავს ცალკეულში, ე.ი. თვით თაურსაწყისი პიროვნებაში მკვიდრდება და მისი არსი მასში ვლინდება. ავტორს ამქვეყნად ყველა მოვლენის თაურმითოსად ეს ურთულესი პროცესი მიაჩნია, ხოლო ყოველივე ამის შეცნობა საგნობრივი მჭვრეტელობით ხდება შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, რომ მითოსური ხილვით საგანთა ჭვრეტის ნიჭი დიდი ხანია დაკარგულია, საუკუნეებია გასული, რაც მითოსურმა ხილვამ და ჭვრეტამ თავისი ფუნქცია დაკარგა. გრიგოლ რობაქიძის რომანში მითოსის დასასრული იკითხება. ეპოქის კატაკლიზმებმა სხვა პრობლემაც წამოჭრა, ეს რწმენის საკითხია და სწორედ აქ დაისმის კითხვა: წინ რაღაა?! ეს კითხვა ნაწარმოების კითხვისას მკითხველს ერთი ნუთითაც არ ტოვებს.

და მაინც, ნაწარმოების დასასრული ოპტიმიზმით ავსებს მკითხველს, რადგან ფეხმძიმე მატასისა და არჩიბალდის მცირეწლოვანი მოტივინე შვილის, პატარა თამაზ მაყაშვილი-ირუბაქიძის საუბარი და თამაში ბაბუა სარიდანთან წინასწარმეტყველურ მისიას იძენს. მართალია, ბაბუა კვდება, რაც თაობათა ცვლის კანონზომიერების მაუწყებელია, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ მომავალი სწორედ ახალ თაობაშია, იმ თაობაში, რომელმაც შეძლო თავისი ფესვების მოძიება და მათთან მიბრუნება. ამავე ეპოქის სხვა მწერალთა რო-

მანებში, კერძოდ, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“, რომელიც მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენაა, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“, რომელიც იმედგაცრუებული ადამიანის ცხოვრებას აჩვენებს, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ თავისი დასასრულით ოპტიმიზმით გამორჩეულ თხზულებად მიმაჩნია.

გრიგოლ რობაქიძის რომანების პერსონაჟების ქმედებებს თავიანთი შინაგანი სამყაროსა და გარესამყაროში მიმდინარე მოვლენების ურთიერთმიმართება განსაზღვრავს, რის გამოც ისინი ერთდროულად არიან ემპირიულნიც და მითოსური აზროვნების შედეგად შექმნილნიც. რომანის პერსონაჟთა ყოფითი ურთიერთობების მიღმა იმთავითვე შეიძლება დავინახოთ მითოსური პარადიგმები. კერძოდ, „ჩაკლული სულის“ მთავარი გმირების, თამაზ ენგური-სა და ნატას, ყოფითი, დროსა და სივრცეში მოცემული ურთიერთსიყვარულის ისტორია გაიაზრება, მ. ჯანჯიბუხაშვილის შენიშვნით, როგორც მითოსური, ზედროული და ზესივრცული სიყვარულის ამბავი, რამდენადაც მათი სიყვარულის, ურთიერთობის სახისმეტყველებითი საფუძველია, ერთი მხრივ, იშთარ-თამუზის, ხოლო, მეორე მხრივ, ადამ-ევას მითოსური პარადიგმები. ნატას პოეტური სახე გვევლინება ტრანსცენდენტურ-პარადიზული ყოფიერების სიმბოლოდ, ხოლო მისადმი სიყვარული ალეგორიულად განსახიერებს შემეცნებელი პიროვნების ინიციაციის გზას სულიერი სრულყოფისა და საღვთო ყოფიერების დამკვიდრებისაკენ [ჯანჯიბუხაშვილი, 2003: 133-139]. თუმცა, ვფიქრობ, ეს შეხედულება საკამათოა და კიდევ მოითხოვს კვლევას. ეს რომანიც, „გველის პერანგის“ მსგავსად, საქართველოს, შესაბამისად, მსოფლიოს, კატაკლიზმებით აღსავსე პოლიტიკურ-სოციალურ ტრაგიკულ ყოფას, სისხლიანი ეპოქის შეუფერადებელ ამბებს, რწმენის რყევის, მატერიალურზე ორიენტირების, სულიერების დეგრადაციის უმკაცრეს სურათებს ასახავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გრ. რობაქიძის რომანების პოეტიკის მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიურ და ესთეტიკურ საფუძვლებს ქმნის, ერთი მხრივ, გოეთეს მოძღვრება პირველფენომენის შესახებ, მეორე მხრივ, ნიცშეს კონცეპტი მარადიული დაბრუნების შესახებ; მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი არ იმეორებს ნიცშეს შეცვალა და ახლებურად ინტერპრეტირებული წარმოადგინა შეხედულებებსა და ფილოსოფიურ მოძღვრებას, იგი

რობაქიძემ ძირეულად გოეთეს პირველფენომენის კონცეპტის ჭრილში. გერმანულ მოაზროვნეთა ეს შეხედულებები და სააზროვნო სისტემა ყოფიერების მითოსურ და ფილოსოფიურ გააზრებას გულისხმობს (ლ. თეთრუაშვილი).

გრიგოლ რობაქიძის დრამები „ლამარა“, „მალშტრემი“, „ლონდა“, „კარდუ“ ასახავენ ქართული და ევროპული შემოქმედებითი მიმდინარეობებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს. საგანგებოდ უნდა ითქვას „ლამარას“ შესახებ, რომელიც რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე იდგმებოდა და საოცრად დიდი წარმატებები ჰქონდა, მაგრამ მას რობაქიძის მემკვიდრეობად არ აცნობდნენ მაყურებელს, რადგან ამ სპექტაკლის წარდგენის პერიოდი მწერლის ემიგრაციაში წასვლის წლებს ემთხვეოდა. მწერალი ამას მწვავედ განიცდიდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

გრიგოლ რობაქიძის პოეზია არაა მრავალრიცხოვანი, მაგრამ მათ თანამდროვე და მეგობარი პოეტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ. იგი თავდაპირველად სიმბოლისტურ ლექსებს წერდა, რაც ტიცციან ტაბიძემ ჟურნალ „ცისფერი ყანების“ პირველ ნომერში აღნიშნა: „სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ. მისი ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია“. მისი პოეტური მემკვიდრეობიდან უთუოდ უნდა გამოვყოთ წმ. ნინოსადმი მიძღვნილი ლექსი, რომელშიც საქართველოს განმანათლებელი ერისათვის სასიცოცხლო ენერჯის მიმნიჭებლად არის წარმოჩენილი. იშვიათი მამობრივი ტკივილებითაა აღსავსე მცირეწლოვანი შვილის, ალკას, გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ლექსები. მის პოეზიაში მკვიდრდება ევროპული ლექსის ფორმაც, მხედველობაში მაქვს სონეტი, რომელიც მთელი 10-20-იანი წლების შემოქმედებითი თაობისათვის ორგანული გახდა.

მეტად მნიშვნელოვანია გრიგოლ რობაქიძის ესსეისტური ქმნილებები, რომელთაგან გამორჩეული ადგილი კარდუზე საუბრებს უჭირავს. გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების ერთი მონაკვეთი, კერძოდ, 1933-1945 წლები, მისი ნაცისტურ გერმანიაში ცხოვრება, მოღვაწეობა და ამ პერიოდში აქ გამოცემული რომანები საბჭოთა კავშირისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მისი რომანების უმეტესობა სწორედ ამ პერიოდში გამოიცა გერმანულ ენაზე. ამ მოვლენამ გაურთულა მას ურთიერთობა სამშობლოსთან, რადგან მისი სახელი ფაშისტურ გერმანიას დაუკავშირეს და XX საუკუნის 80-იანი წლე-

ბის შუახანებამდე იგი აკრძალული იყო. ამიტომ მხოლოდ ამ დროიდან დაიწყო გრ. რობაქიძის მემკვიდრეობის შესწავლა და კვლევა.

**მიხეილ ჯავახიშვილი.** ზემოთ უკვე ითქვა, მაგრამ გავიმეორებ, რომ XX საუკუნის ლიტერატურაში სიახლესთან ერთად გრძელდება ტრადიციული მწერლობის ხაზი. ილია ჭავჭავაძის სამწერლო და სამოღვაწეო გზასა და გეზს დაადგა მიხეილ ჯავახიშვილი (1880-1937), რომელმაც თავის რომანებსა და მოთხრობებში რამდენიმე კარდინალური პრობლემა დასვა: ძველისა და ახლის ჭიდილი, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა, ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, ზნეობისა და სამართლიანობის მარადიული პრობლემა.

მწერალმა რთული ცხოვრების გზა განვლო, რამაც მისი სამწერლო მოღვაწეობისა და მრწამსის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. მის ოჯახში დატრიალებულმა უბედურებამ, – როდესაც ავაზაკებმა მოუკლეს დედა და და, ხოლო მამა ამ ტკივილს გადაჰყვა, – მის ცხოვრებას ტრაგიკული კვალი დაამჩნია. მიხეილ ჯავახიშვილი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ერის მაჯისცემას მიყურადებელი მამულიშვილი იყო. მწერლობას, მხატვრულ ლიტერატურას პუბლიცისტიკიდან და პოლიტიკიდან მიაშურა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავისი ქვეყნისა და ერის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, საზოგადოებრივი პრობლემების არსი ძირფესვიანად ჰქონდა გაჩხრეკილი და გააზრებული.

მიხეილ ჯავახიშვილმა ლიტერატურული მოღვაწეობა ადრევე დაიწყო. ჯერ კიდევ 1903 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“, რომელშიც ცხოვრებისაგან დაჩაგრული და საზოგადოებისათვის ზედმეტად ქცეული ტრაგიკული ადამიანის ცხოვრება ასახა და აჩვენა, რაოდენ ძვირფასია ყოველი ადამიანი, როგორი ხვედრიც უნდა ხვდეს ამქვეყნად წილად, როგორ სჭირდება მას თანაგრძნობა და სიყვარული, რადგან უფლისაგან გაჩენილი ყველა ადამიანი თანაბარია. ამას მოჰყვა „უპატრონო“, „თავდავინწყება“, „კურკას ქორწილი“ და სხვ. მ. ჯავახიშვილი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ პუბლიცისტურ სტატიებს აქვეყნებდა და XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგიდან შეუდგა სამწერლო მოღვაწეობას. როგორც ჩანს, სიმართლე მეტაფორული, მხატვრული სიტყვით უნდა ასახულიყო და მწერალმა მთელი თავისი უმნიშვნელოვანესი მოთხრობები და რომანები სწორედ ამ დროიდან გამოაქვეყნა. პერსონაჟთა მრავალფეროვნებით გამორჩეული მისი მოთხრობების – „ტყის კაცი“, „მართალი აბდულაჰ“, „ორი განაჩენი“,

„დამპატიყე“, „მინის ყვილი“, „ლამბალო და ყაშა“ და სხვები, – ძირითადი პრობლემაა საქართველოსა და ქართველი კაცის ხვედრი მსოფლიოში, ადამიანის ყოველდღიური და მარადიული სატკივარი, სულიერებისაგან დაცლილი საზოგადოების გულგრილობა და სიუხე-ეშე, რაც ადამიანში უამრავ საფიქრალს აღძრავს. მ. ჯავახიშვილმა მოთხრობებში „ოქროს კბილი“, „კურდღელი“ და „პატარა დედაკაცი“ ფსიქონალიზის მთავარი პრობლემები დასვა, კერძოდ, არაცნობიერისა და ცნობიერის კონფლიქტის საკითხი და ამ საფუძველზე ჩამოყალიბებული არასრულფასოვანი პიროვნების ფსიქოლოგიური მდგომარეობა, „კურდღელში“ კი პერსონაჟის სახის გასახსნელად ფსიქონალიტიკური მკურნალობის მეთოდი გამოიყენა.

მ. ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის რამდენიმე რომანი, რომლებშიც ეპოქალური პრობლემებია წამოჭრილი. ესენია: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „თეთრი საყელო“, „გივი შადური“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“, და რაც ყველაზე მეტად გამორჩეულად მიმაჩნია, „ჯაყოს ხიზნები“, რომელსაც განსაკუთრებული ღირებულება და მხატვრული დატვირთვა აქვს. მწერალი მას 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ქართველი ერისათვის ურთულეს, ტრაგიკულ დღეებში, წერდა და აღნიშნავდა, რომანის წერისას როგორ ეკიდებოდა ცეცხლი, ხოლო სული იმ დროის სისხლში ჰქონდა ამოვლებული. „ჯაყო გმინვაა ჩემი სულის“, — ეს სიტყვები მიხეილ ჯავახიშვილმა თავის უბის წიგნაკში ჩაწერა. მნიშვნელოვანია „ჯაყოს ხიზნების“ მწერლისეული შეფასება: „უცნაურია, ყველაზე მეტი დავა „ჯაყოს ხიზნებმა“ გამოიწვია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა. იმ დღეს ნამდვილად ბალღად გადავიქეცი, რომელსაც გაუსაძლისი ბედნიერება დაატყდა. ველარც მე ვცნობდი ჩემს თავს და ველარც ჩემი ცოლ-შვილი მცნობდა“. ახლა დროის გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ რომანი არა მხოლოდ მწერლის გმინვაა, არამედ ქართველი ერის სულისა, რადგან 1924 წელს ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა თავისუფლებისათვის და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული მებრძოლი გმირების მცდელობა მოწინააღმდეგე ძალებმა სისხლის ნიაღვრით წაღვეკეს. მწერალს სწორედ ამ უმანკო სისხლმა, მსხვერპლად შეწირულ უდანაშაულო ადამიანთა უბრალო (ბრალის არ მქონეს ვგულისხმობ) სისხლმა დაუტოვა გაუყურებელი ტკივილები. ეს თხზულება მწერალს თავისი ქვეყნის ფიზიკურმა და სულიერმა უმძიმესმა კრიზისმა დაანერინა. რომანი ისტორიულ ფაქტებსაც, კერძოდ, XX

საუკუნის 20-იან წლებში შექმნილ საზოგადოებრივ-კულტურულ მდგომარეობას, გადმოსცემს და ასახული მოვლენების ღრმა ანალიზსაც გვთავაზობს. როგორც მწერალმა თავადვე აღნიშნა, თხზულების დაწერა კონკრეტულმა ფაქტებმა შთააგონა, მან სინამდვილეში ნახა ჯაყოს მსგავსი პიროვნება, დიდი, უზარმაზარი, ბრგე, ბანჯგვლიანი, ცბიერი, ხარბი, ამავე დროს მარდი და მოხერხებული; ამავე დროს, საშინელი ქართულით მოსაუბრე, ე.ი. საქართველოში მცხოვრები უცხოტომელი მხოლოდ საყველპურო ქართულით საუბრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არაფერი ქართული არ აინტერესებს. ოსური ჟარგონითა და დამახინჯებული ქართულით საუბარი რომანს დიდ გამომსახველობით ძალას აძლევს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯაყოს ოსობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ამავე პრინციპით იგი სხვა ერის წარმომადგენელიც შეიძლებაოდა ყოფილიყო და ასეთივე უარყოფითი ფუნქცია დაკისრებოდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ მხრივ ეს რომანი კონკრეტული წინასწარმეტყველების გამომხატველი აღმოჩნდა.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ლიტერატურის ისტორია

ნესტან სულავა



## XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები<sup>1</sup>

„ჯაყოს ხიზნებში“ დასმულია ერის არსებობისათვის აუცილებელი და საჭირობო ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა: ადამიანისა და საზოგადოების სულიერი მდგომარეობა, უზნეობისა და უსამართლობის მსხვერპლად ქცეული ქართველი ერის სატკივარი. ეს ნაწვენებია ძირითადად თხზულების ორი პერსონაჟის ცხოვრების ფონზე: ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელი ნაშვირის, რევოლუციური ეპოქის მიერ გარიყული თავადის, თეიმურაზ ხევისთავისა და ბნელი სულისა და მოზღვავებული მტაცებლური ენერჯის მქონე ჯაყოს დაპირისპირებისა და ურთიერთობის ფონზე.

---

<sup>1</sup> ეს სტატია პირველი ნაწილია იმ ნაშრომისა, რომელიც თურქულ ენაზე ქვეყნდება და ითვალისწინებს უცხოელი მკითხველის ინტერესებს ქართული ლიტერატურისადმი, ამიტომ ქართველ მკითხველს ბევრი რამ ეცნობა. ნაშრომში ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრებები სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებებით არაა გაჯერებული. ვფიქრობ, ეს საინტერესოცაა, რადგან ჩემი კვლევის სფერო, ძირითადად, ძველი ქართული მწერლობაა და XX საუკუნის ლიტერატურული ტენდენციებისა და ამ პერიოდში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ამ პოზიციიდან აღქმა უთუოდ მოგვცემს მნიშვნელოვან შედეგს. სტატია ჟურნალ „არავი“ რედაქციის გადაწყვეტილებით იბეჭდება (ავტორი).

მწერალმა ერთმანეთს დაუპირისპირა ტლანქი, გაუნათლებელი, უზნეო ოსი ჯაყო ჯივაშვილი და მისი მსხვერპლი, ქართველი თავადი თეიმურაზ ხევისთავი, სუსტი ნებისყოფის, განათლებული ინტელიგენტი, რომელსაც მისმა ყოფილმა მოურავმა ჯაყომ ცხვირწინ ააცალა მამაპაპეული ქონება, მშვენიერი მეუღლე მარგო, მისი გვარის მიცემაც მოითხოვა მარგოსა და ჯაყოს შვილისთვის, რის შედეგადაც თეიმურაზს საბოლოოდ დააკარგვინა სულიერი სიმშვიდე. ცხადია, ყოველივე ამის მიღმა ალეგორიული სურათი იკითხება, რადგან თეიმურაზ ხევისთავი და მარგო საქართველოს, მის წარსულს, აწმყოს, მომავალს განასახიერებენ, ხოლო ჯაყო ჯივაშვილი – მოძალადე და საქართველოში დაფუძნებულ უცხო-ტომელს, რომელიც ქვეყანას არსებობის საფუძველს აცლის და ეროვნულ მეობას უკარგავს. მწერალი თეიმურაზის სახით ძველი არისტოკრატიული ფენის ზნეობრივ და ფიზიკურ დაცემას, ქართველი ერის იმედგაცრუებასა და დემორალიზაციას წარმოაჩენს, რაც ხანმოკლე დამოუკიდებელი საქართველოს დაცემას მოჰყვა შედეგად, განათლებულ უმოქმედობას გაუნათლებელი მოქმედება დაუპირისპირა და ორივე საზოგადოებისათვის საშიშ მოვლენად მიიჩნია.

ყურადღებას იქცევს რომანის მეტაფორული სათაური, რომელიც მის ძირითად სათქმელს, არსს გამოხატავს, რაც ბიბლიური სახელ-დების პრინციპის კვალობაზე შეიძლება გავიაზროთ. ჯაყო ჩრდი-ლოეთიდან გადმოსული უცხოტომელია, ოსი, რომელმაც არც ქარ-თული იცის და არც ქართული კულტურის პატივისმცემელია. არსე-ბობისათვის, ლუკმა-პურის შოვნისათვის ბრძოლამ აიძულა იგი სა-ქართველოში ჩამოეთესლილიყო და ხევისთავების ცნობილ საგვარ-ეულო ოჯახს შეჰკედლებოდა, სადაც თავის დროზე შინაყმად სა-მადლოდ მიიღეს, ყოველგვარ სამეურნეო საქმეს აკეთებინებდნენ. ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ფონის შეცვლამ იგი გააძლიერა, თავისი ცბიერებით, ეშმაკობით, ტყუილებით, ძალადო-ბით ნელ-ნელა მოახერხა ხევისთავთა დიდძალი მიწა-წყლის, ტყეე-ბის, საგვარეულო ნივთების, საბრძოლო იარაღების, სახლ-კარისა და ციხე-დარბაზების ხელში ჩაგდება. არც საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობის დაკარგვისა და ნითლების (საბჭოთა კავშირის) ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაბნეულა, რასაც ერთი შვი-ლის მონათვლისა და მეორის მოუნათლავად დატოვების ფაქტი მოწმობს, რადგან არ იცის, რომელი როდის გამოადგება. მეტაფორა

მეტად თვალსაჩინო და გამჭვირვალეა: მწერალი აჩვენებს, როგორ ეუფლება ყველაფერ ქართულს ჩრდილოეთიდან გადმოთესლილი უცხოტომელი. ესეც არ ჰყოფნის! ყველაფერი მატერიალურის წარმომავლის შემდეგ ჯაყომ კიდევ მეტი მოინადინა. ის, რაც შეიძლება ადამიანს მატერიალურის სახით დაეკარგა, იყო მამაპაპეული ქონება და მამული, და იგი თეიმურაზ ხევისთავმა დაკარგა. ფიზიკური არსებობისა და გადარჩენისათვის სოფელში მიბრუნება გადაწყვიტა. სოფელში, რომელსაც „ნაშინდარი“ ეწოდება და რომელშიც სიტყვა „შინ“ არის კონოტაციური და არსის მქონე (ლ. წიქარიშვილი), ე.ი. თეიმურაზ ხევისთავი თავის ფესვებს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ აქვს კი ფესვები შერჩენილი? იქ ხომ ჯაყო მბრძანებლობს! ნაშინდარი ჯაყოს საუფლოა, თავისი ოჯახით, ნათესავებით იქ დამკვიდრებულა და თეიმურაზის სახლ-კარსაც, ციხე-დარბაზებსაც, ქონებასაც დაჰპატრონებია. თეიმურაზისა იქ აღარაფერია, იგი მისი ყოფილი სამყოფლოა. ამიტომ თავის ცოლთან, აგრეთვე, თავისი გვარის უკანასკნელ წარმომადგენელთან, მარგალიტა ყაფლანიშვილთან ერთად, ჯაყოს ხიზნად გადაიქცა. საკუთარ მინა-წყალზე, საკუთარ ციხე-დარბაზებში, საკუთარ სახლ-კარში ხიზნად მიბრუნდა. ამას სხვა მეტაფორაც ახლავს, ეროვნული სატკივრით აღსავსე მეტაფორა, რადგან ქართველი ერი თანდათან კარგავს თავისი სამშობლოს ისტორიულ ფესვებს, ტერიტორიებს, ერის საგანძურს, ინტელექტუალურ მონაპოვრებს, სულიერ სამყაროს.

მართალია, რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი თეიმურაზ ხევისთავი განსწავლული, ღრმად განათლებული პიროვნება იყო, მაგრამ თავისი უსუსურობითა და გულუბრყვილობით ტრაგიკულ პიროვნებად ჩამოყალიბდა. თავისი თვისებების გამო მკითხველის გაღიზიანებას, შეიძლება ითქვას, ზიზღსაც კი იწვევდა. ახალ ცხოვრებას ვერ შეეწყო, არც სჯეროდა, რომ იგი საქართველოს ბედნიერებასა და თავისუფლებას მოუტანდა, ეროვნულ სულს გააძლიერებდა. მართალია, მონინალმდეგეები კამათში ვერასოდეს ჩაგრავდნენ, ვერ ჯაბნიდნენ, მაგრამ საქმით ვერაფერს აკეთებდა. თეიმურაზ ხევისთავი სულხან-საბა ორბელიანისეული „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“ კაცი არ იყო; მის მერყევ ხასიათს ქვეცნობიერად მისივე ენაბლუობაც ადასტურებს, რადგან მისი მეტყველების ნაკლი და ქცევის შეუსაბამო მანერები თეიმურაზის ცხოვრებისეული ბორძიკის მოტივირებად შეიძლება მივიჩნიოთ. მისი ცხოვრება და ჟურნალისტური მოღვაწეობა საკმაოდ დუნედ მიედინე-

ბოდა, რომ არა ერთი გაუგებრობა: მოულოდნელად თეიმურაზმა ცოლი შეერთო, რაზეც არასოდეს უფიქრია და უოცნებია. მართალია, მარგო, თავისი საგვარეულოს ერთადერთი გადარჩენილი, უკანასკნელი წარმომადგენელი, ნაწარმოებში შემოდის, როგორც ხალისიანი, მხიარული, ქველმოქმედი, ლამაზი და განათლებული ახალგაზრდა ქალი, მაგრამ გათხოვებიდან მოკლე ხანში თეიმურაზის უნიათობამ, უსუსურობამ ცხოვრებისადმი ინტერესი მასაც დააკარგვინა. ამის შედეგია ის, რომ მკითხველის თვალში თეიმურაზ ხევისთავი ქართველი ხალხისა და უუნარო ინტელიგენციის სიმბოლოდ, მარგო, როგორც საზოგადოდ, მხატვრულ ნაწარმოებებში წარმოსახული ქალების უმეტესობა, – პატივაცარილი, შეურაცხყოფილი, დამოუკიდებლობადაკარგული, სხვათა სანავარდოდ ქცეული საქართველოს, ხოლო ჯაყო მტრად მოვლენილი ნებისმიერი მოდგმის წარმომადგენლის სახე-სიმბოლოებად ყალიბდებიან.

რომანში დახატულია ის სამყარო, სადაც სამოქმედოდ გამოჩნდება თეიმურაზ ხევისთავი, არა მხოლოდ როგორც განსაქიქებელი და „კრიტიკის ქარცეცხლში გასატარებელი“ პერსონაჟი, არამედ თავისი დატვირთული წარსულის მქონე ადამიანი: გვარიშვილობით, ადგილმამულით, განათლებით, რომელიც ცხოვრებასთან დიალოგს ცდილობს, ანმყოს რეალურ სურათს თავისი დაღლილი, „ბეცი თვალებით“ ვერ ხედავს თუ ვერ ამჩნევს, რასაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, კარგავს ყველაფერს, რის დაკარგვაც შეიძლება და ლტაკი, უპოვარი, საკუთარ მამულში ხიზნად ქცეული, აღმოაჩენს მარადიულ, წარუვალ, გაძრცვილ მშვენიერებას, რომლის ერთადერთი პატრონი თავად იყო და, ალბათ, მომავალში შეიძლება გახდეს.

„ჯაყოს ხიზნების“ გმირები იდეალური, მისაბაძი პერსონაჟები არ არიან, ისინი გამოკვეთილი ანტიგმირები არიან. ნაწარმოების ძირითადი არსი ერთდროულადაა „ნაკაცარი“ თეიმურაზ ხევისთავის ტრაგედიის ჩვენება, ჯაყო ჯივაშვილის ავხორცობისა და ბოროტების წარმოჩენა, მარგო ყაფლანიშვილის უმწეობისა და უბედურების ასახვა. ამ სამი პიროვნების ცხოვრება ერთმანეთის ბედს განაპირობებს, რაც ნაწარმოების პრობლემეტიკასაც ერთ მთლიანობად წარმოგვადგენინებს. ისიც საყურადღებოა, რომ რომანში სხვა რომელიმე პერსონაჟიც არ აღძრავს დადებით ემოციას და, შესაბამისად, თანაგრძნობის გამოხატვას არ იმსახურებს. „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟების სახეთა სისტემა მოწმობს, რომ თხზულება პირუთვნელი სინამდვილის, არსებულის სამხილებლად, მკაცრი ცხოვრების საჩვე-

ნებლად დაიწერა. ამ მხრივ იგი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს?!“ ეხმიანება; ილიამ „თათქარიძეობა“ ამხილა და მკითხველს მისი უარყოფითი მხარეები ამცნო. მიხეილ ჯავახიშვილმა თავის თანამედროვე საზოგადოებაში აღმოაჩინა და სამსჯავროზე გამოიტანა, ერთი მხრივ, რომანის მთავარი პერსონაჟის „ნაკაცარობა“, ხოლო, მეორე მხრივ, „ჯაყოობა“, როგორც ბინარული ოპოზიცია, რომელშიც დადებითის ნასახიც კი არაა. ისე წავიკითხავთ მთელ რომანს, რომ ერთ დადებით პერსონაჟს ვერ შევხვდებით.

თეიმურაზ ხევისთავის მრავალმხრივი ცოდნა და განათლება ჟურნალ-გაზეთებში ჩაიკარგა, რაც აგრეთვე მეტაფორულადაა გასააზრებელი, რადგან გაზეთი ყოველდღიურობის სიმბოლოა, ყოველდღიურად მიმდინარე ამბებს ასახავს. ეს იმას მოასწავებს, რომ თეიმურაზი არაა მარადიულ ღირებულებებზე ორიენტირებული პიროვნება, ამიტომ იგი არავის სჭირდება, ქალაქში ადგილსაც ვერ პოულობს, სულიერ, მატერიალურ, კულტურულ მონაპოვრებს თანდათან, ყოველდღიურად კარგავს. საგვარეულო განძი, წიგნები, ძველი ხელნაწერები, ძვირფასი ფოლიანტები – ყველაფერი დაკარგა. გაუუცხოვდა თავის ერთგულ და მოყვარულ მეუღლეს, რომელიც მისი ერთადერთი მეგობარი იყო, ხოლო ამ გაუცხოებამ ორივენი ტრაგედიამდე მიიყვანა. მარგო მხოლოდ თეიმურაზის მეუღლედ არ აღიქმება, იგი მარადიულ ღირებულებათა კრებითი სახეა და მასთან გაუცხოება თეიმურაზისათვის, თვით მარგოსთვისაც, – უფრო ზუსტად, ისინი ერთმანეთს გაუუცხოვდნენ, – დამღუპველია. არც მარგოს საკუთარი სახელია შემთხვევითი, მარგალიტა სახარებისეულ ალუზიას ქმნის, – მარგალიტი ღორებს არ უნდა დაუფინონ. მისი სახელი წინასწარმეტყველებაა მისი მომავალი ცხოვრებისეული ტრაგედიისა, რომ იგი ჯაყო ჯივაშვილის მსხვერპლად იქცევა. ჯაყო კი ძალადობის, უხეშობის, უზნეობის, წინააღმდეგობის ხორცშესხმული ხატებაა, რომელიც თეიმურაზს თავისი კერისკენ ეპატიჟება, ოღონდ ხიზნის სტატუსით. ამ მიპატიჟებაში მისი ვერაგული ზრახვები იმთავითვე მჟღავნდება, ოღონდ არა თეიმურაზისთვის, მარგო კი ინტუიტურად გრძნობს მოსალოდნელ საფრთხეს და სოფელში ნასვლის გადაწყვეტილების მიღება თეიმურაზს მიახლო, რითაც პასუხისმგებლობა მთლიანად მას დააკისრა.

თეიმურაზისა და მარგოს სულიერი დაცემა სოფლად წასვლით იწყება. ჯაყოს მარგოს გაუპატიურება შერჩა, მარგოც შეეგუა თავის უბედურებას და ჯაყოს ხასად გადაიქცა. შეიძლება ითქვას, რომ

თეიმურაზის, მარგოსა და ჯაყოს ურთიერთობაში მსოფლიო ლიტერატურაში გავრცელებული ტრიადის ურთიერთკავშირი გამოსჭვივის, ოღონდ ეს არაა იმ ტიპისა, როგორც ჩვენთვის კარგად ცნობილ სხვადასხვა დროის ლიტერატურულ ძეგლებში აისახებოდა. მ. ჯავახიშვილის რომანში ამ ხელოვნურ ტრიადას უხეში ძალა, მისი ჩარევა ქმნის. თეიმურაზს ნაშინდარში დაბრუნება ხსნად მიაჩნდა და ამბობდა, „იქნებ სწორედ იქ მოხდეს გარდატეხა, იქ გადაიშალოს ჩვენი ოჯახის ისტორიის ახალი ფურცელი“. დიახ, ახალი ფურცელი გადაიშალა, მაგრამ საზარელი აღმოჩნდა ეს ფურცელიც და გარდატეხაც, რადგან მთელი სულიერი ღირებულებები ჯაყომ თავზე დაამხო, ხელყო ოჯახის სიმტკიცე და სინძინდე, წაართვა ცოლი... მაგრამ დაისმის კითხვა: მხოლოდ ჯაყომ? ცოლ-ქმრის აქამდე ჯერ კიდევ შენარჩუნებული ფასეულობები თვით თეიმურაზის უნიათობამ და დაცემამ დაამხო. სულიერი არისტოკრატიზმის მაძიებელი თეიმურაზი მარგოს დაკარგვის მიზეზების განსჯისას აღიარებს, რომ „ჯაყო უბრალო შემთხვევაა და ჩემს უბედურებაში ბრალი არ მიუძღვის“. რასაკვირველია, ეს იმას მიუთითებს, რომ თეიმურაზი მარგოს დაკარგვის მთავარ მიზეზად, გარემო ფაქტორებთან ერთად, საკუთარ თავს მიიჩნევს.

მაგრამ დაისმის კითხვა, უნდა დასრულებულიყო თუ არა რომანი ასე პესიმისტურად, განადგურებული ფსიქიკის მქონე ადამიანების ხვედრის ჩვენებით? თეიმურაზ ხვეისთავის სახის გააზრებას მწერლის ქრისტიანული მსოფლხედვა უდევს საფუძვლად, რაც სულიერად და ხორციელად დაცემულ ადამიანში პიროვნების აღდგენის შესაძლებლობას იძლევა. ნაშინდარი აღმოჩნდა ის სივრცე, სადაც თეიმურაზმა იგემა დაცემა, სულიერი განადგურება და თვითმკვლევლობის მცდელობაც სცადა. მაგრამ იგი ფიზიკურად მაინც არსებობს, ნახუცარმა ივანემ გადაარჩინა. ამიტომ სწორედ ნაშინდარში გამოიკვეთა ჯვარცმის, გოლგოთის მისტერიებთან მიახლოება, რათა თეიმურაზ ხვეისთავს რწმენა თვითგვემითა და თვითჩაღრმავებით მოეპოვებინა. ნახუცარ ივანესთან საუბარში თეიმურაზმა აღიარა, რომ მასში რწმენის სული ჩაკლული იყო, გონება ცოდნისაკენ მიუწევდა, გული კი რწმენისაკენ, რითაც მწერალმა, ფაქტობრივად, ეპოქის სატიკვარი გამოხატა. ამავე დროს, საკუთარი გაორების ამგვარ აღიარებას სულიერი ძალების აღორძინება უნდა გამოეწვია, ხოლო სულიერ ძალებს, სულის აღორძინებას წარსული და ყოველივე წარმავალი უნდა მოეკლა, რის შედეგადაც მა-

რადიული ღირებულებებისაკენ სწრაფვა და სულიერება უნდა წარმოქმნილიყო. ამგვარი აზრის დამკვიდრების საფუძველს რომანის დასასრული იძლევა.

მკვლევარმა ლელა ნიქარიშვილმა რომანის ბოლოს ნახსენებ შიომღვიმის სიმბოლიკას ფრაზაში – „ისევ ელის ნაქმრევი ნაცოლარს. ისევ დაყუდებული შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი“ – მეტად საინტერესო და ღრმადმნიშვნელოვანი მეტაფორული ახსნა მოუძებნა. მან დაასაბუთა, რომ „ჯაყოს ხიზნების“ დასასრულს წმ. შიო მღვიმელის ხსენება შემთხვევითი არაა. ეს ფრაზა მინიშნებაა 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ანტიბოლშევიკურ ამბოხებაზე, უშუალოდ მის ერთ-ერთ ტრაგიკულ ფურცელზე, კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები, ამ აჯანყებას რომ ამზადებდნენ, შიო-მღვიმის მონასტრის სიახლოვეს დააპატიმრეს. აჯანყებას საქართველოს ეროვნულ გმირად შერაცხული ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი მეთაურობდა. ლ. ნიქარიშვილს საგულისხმოდ მიაჩნია რომანში ნახსენები აღდგომის ღამეც, რომელიც, შესაძლოა, 1922 წლის 16 აპრილს, აღდგომა ღამეს, უკავშირდებოდეს, როცა პარიტეტული კომიტეტი დაარსდა. ამავე აღდგომის დღეს კი ანჩისხატის საყდარში სააღდგომო ქადაგების დროს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია) ბოლშევიკები და მათ მიერ საქართველოს ოკუპაცია ამხილა.

საინტერესოა სხვა თვალსაზრისიც: ზოგი მკვლევარი თეიმურაზ ხევისთავს მიხეილ ჯავახიშვილის კლტერ ეგო-დ მიიჩნევს, რადგან მწერალი შეიარაღებული აჯანყების მომხრე არ იყო, იგი ლოდინის პოლიტიკას ამჯობინებდა. მწერალი, როგორც სამხედრო კომისიის წევრი, ცდილობდა არალეგალური ანტიბოლშევიკური საქმიანობა ლეგალური სახის წინააღმდეგობად გადაექცია, რომელსაც შენარჩუნებული ექნებოდა რუსული კლანჭებიდან ადრე თუ გვიან თავდახსნის სულისკვეთება, ამიტომაც თეიმურაზ ხევისთავი სწორედ შიო მღვიმელივით უნდა დალოდებოდა შესაფერის დროს. მომლოდინე თეიმურაზის სახე განზოგადებულია, მიუხედავად იმისა, რომ პერსონაჟის სახე მთელი რომანის მსვლელობისას უარყოფითია, დაცემული ადამიანის ხატ-სახეა, იგი მაინც ერის სულია, იმ ერისა, რომელსაც სიკვდილი არ უწერია.

ამიტომ ნაწარმოების დასასრული იმედს აჩენს, რომ თეიმურაზ ხევისთავში ტრადიციული სული უნდა გამთლიანდეს და აღორძინდეს, პერსონაჟშივე ქართული კრებისთი სული უნდა აღდგეს, რა-

მაც იგი თავის ფიზიკურ და სულიერ ძირებთან, ფესვებთან უნდა დააბრუნოს. მიხეილ ჯავახიშვილის რომანი ქართველი ერის ტრაგედიას აღწერს და ამ მდგომარეობის დაძლევას ისახავს მიზნად. თეიმურაზ ხევისთავის პიროვნული გამთლიანება იმ დანაკარგის დაბრუნებასაც გულისხმობს, რაც მას ეკუთვნოდა; ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ რომანის დასასრულს იგი კვლავ ხევისთავთა საგვარეულო სასახლეში ცხოვრობს და რწმენით აღსავსე ელოდება მარგოს: „კიდობანში ძველი ხატი აქვს დამალული. იმ ხატს კუთხეში დაასვენებს, სანთელს აუნთებს და პირქვე დაემხოზა. მეტანიით, სასოებით და ცრემლით ლოცულობს თეიმურაზ ხევისთავი... ისევ ელის ნაქმრევი ნაცოლარს. ისევ დაყუდებული შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი“. ამგვარი სულიერი მდგომარეობაა თეიმურაზის მონაპოვარი, ეს რწმენის აღორძინების მაცნეცაა, თეიმურაზმა უნდა დაიბრუნოს მარგო არა როგორც პერსონაჟი, არამედ როგორც სიმბოლურ ხატად და ალეგორიულ სახედ ქცეული, თუ ჩვენ, მკითხველი თუ მკვლევარი, სწორად ჩავწვდით მწერლის ჩანაფიქრს.

ორიოდე სიტყვით „თეთრი საყელოს“, „კვაჭი კვაჭანტირაძისა“ და „არსენა მარაბდელის“ შესახებ. „თეთრ საყელოში“ მიხეილ ჯავახიშვილმა ურთულესი ფილოსოფიური პრობლემები მხატვრულად გაიაზრა და ასახა. რომანის პერსონაჟი და ამბის მოთხრობელი არის ქალაქელი ელიზბარი, რომელსაც მისთვის სრულიად შეუფერებელი ცოლი ჰყავს. იგი ხევსურეთში წავიდა მადნეულის საძიებლად და ცივილურ სამყაროს მოწყვეტილ საზოგადოებაში აღმოჩნდა, სადაც ხევსური ქალი ხათუთა შეუყვარდა. ელიზბარის თვალთ მწერალმა მთისა და ბარის, უფრო ზუსტად, მთის ადათ-წესებისა და ცივილიზაციის ჭიდილი დაგვანახა და წარმოაჩინა. მწერალს საყვედურობდნენ მთის თემატიკის ასახვას, მაგრამ თავის მოწინააღმდეგეებს თვითონ არაჩვეულებრივი პასუხი გასცა, როდესაც განაცხადა, რომ მისი პოზიცია კრიტიკოსებმა ვერ დაინახეს, რადგან მან თავისი რომანის გმირი მთაში, ძველი ადათ-წესების საუფლოში კი არ დატოვა, არამედ ქალაქში წაიყვანა და დაამკვიდრა, როგორც ცივილიზაციურ სამყაროში. თხზულების მეტაფორული სათაურიც ხომ ამას მოწმობს.

მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მსოფლიო კლასიკას უნდა მივაკუთვნოთ, რადგან კვაჭი კვაჭანტირაძის სახით მწერალმა იმდროინდელი პოლიტიკურ-სოციალური და საზოგადოებრივი წყობის ნაკლოვანებები გამოავლინა და მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატად მოგვევლინა.

კვაჭის საქართველოში დაბრუნება და „მოღვაწეობა“ მწერალს ქართველი საზოგადოებრიობის ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველს აძლევს, რადგან ზუსტადაა დაჭერილი წარმატებული და ხალხისაგან აღზევებული კვაჭის ტიპი: ქართული საზოგადოება ყოველთვის ისეთ სასწაულებრივ მხსნელს ელის, რომელმაც უნდა მოუგვაროს პრობლემები, ხოლო თვითონ ამგვარ ადამიანს უნდა აჰკიდოს მთელი პასუხისმგებლობა. ჩვენი საზოგადოების ამ თვისებაზე მსჯელობს ილია ჭავჭავაძე თავის სტატიაში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ მ. ჯავახიშვილის ამ რომანს ხშირად თომას მანის „ფელიქს კრულის თავგადასავალს“ ადარებენ, როგორც მსგავსი მსოფლმხედველობრივი პრობლემის მომცველ რომანს.

„არსენა მარაბდელი“ მ. ჯავახიშვილმა 1933-1936 წლებში დაწერა. რომანი ბატონყმობის წინააღმდეგ უსისხლო გმირის, ყაჩაღად ქცეული არსენა ოძელაშვილის ბრძოლასა და ქართველი თავადაზნაურების 1832 წლის შეთქმულებას ასახავს, მაგრამ მასში 1924 წლის აჯანყების ანარეკლი შეიგრძნობა. მიმაჩნია, რომ ეს რომანი ჯერ კიდევ არაა სწორად წაკითხული და აღქმული.

ქართული ლიტერატურის ძალზე საინტერესო შემოქმედი-პროზაიკოსი გახლავთ ლეო ქიაჩელი (ლეონ შენგელაია – 1884-1963), რომელსაც ეკუთვნის შესანიშნავი ნოველები, მოთხრობები და რომანები. მისი ფსევდონიმი ქიაჩის წმინდა გიორგის ხატს უკავშირდება, რომელიც მწერლის მშობლიურ სოფელ ობუჯის მონასტერში ყოფილა დასვენებული, ისტორიულად ხატის მცველები და მფლობელები ერთხანს მწერლის შორეული წინაპრებიც ყოფილან. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, მწერალმა ეს ფსევდონიმი მთელი საბჭოთა რეჟიმის პირობებში ატარა, იმ პერიოდში, როდესაც ქრისტიანული რელიგია, განსაკუთრებით კი მართლმადიდებლობა, მკაცრად იდევნებოდა და ძალზე შევიწროებული იყო.

ლეო ქიაჩელის ნოველების ნაწილი, კერძოდ, ადრეული ხანისა, – „წარსული ანმყოში“, „სტეფანე“, „მამა ოქროპირი“, „ჯადოსანი“, „ESCALADE“ (ფრანგ. რალაცაზე აცოცებას ნიშნავს), – მოდერნისტულ-სიმბოლისტურია, ნაწილი – რეალისტური, კერძოდ, „ალმასგირ კიბულან“, „თავადის ქალი მათა“, „ჰაკი აძბა“. მათში წარმოსახული ადამიანები ერთიანობაში მეტად საინტერესო მხატვრულ სამყაროს ქმნიან, მისი ეს თხზულებები ყოველთვის დარჩებიან ქართული ნოველისტიკის მშვენიებად. რაც შეეხება რომანებს, ესენია „სისხლი“, „ტარიელ გოლუა“, რომლებშიც მწერალმა 1905-1907

წლების რევოლუციური მოვლენები ასახა, „გვადი ბიგვა“, რომელიც სოციალისტური სისტემის დასაწყისი ეტაპი წარმოაჩინა და მისი პერსონაჟები ამჟამადაც ზნეობრივი თვალსაზრისით იქცევენ ყურადღებას, „მთის კაცი“, რომელიც 1941-1945 წლების თემას ეძღვნება. ეს თხზულებები განსხვავებულ თემატიკაზეა აგებული, მათში მწერალმა ქართველი კაცის თვისებები, ინტერესები, ღირებულებები, ტკივილიანი, მიძიმე ცხოვრების ამსახველი სურათები აჩვენა. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ისინი იმდროინდელი იდეოლოგიის კვალობაზე განიხილებოდა, თუმცა, თითოეული მათგანის ხელახალი გააზრება სხვა დასკვნებამდე მიგვიყვანს.

ლეო ქიჩელის თხზულებებიდან ნიმუშად ერთს განვიხილავ, ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნოველა „ჰაკი აძბა“. მისი მთავარი პერსონაჟები არიან უჯუმ ემხა, თეთრგვარდიელი, რომელმაც თავი სოხუმს შეაფარა, და ჰაკი აძბა, უჯუმ ემხას ძუძუმტე. სწორედ მათი ძიძიშვილობა წარმართავს მოქმედებას და ნოველის მთელი პერსონაჟები მათ ირგვლივ ტრიალებენ, ხოლო ნოველაში მიმდინარე ქმედებები ჰაკისა და უჯუმის ირგვლივ ტრიალებს. აქვე მიხდა აღვნიშნო, რომ ძიძიშვილობის ტრადიციის ასახვით „ჰაკი აძბა“ აკაკი წერეთლის „გამზრდელს“ ეხმიანება, თუმცა მისგან საკმაოდ განსხვავდება. იგი გარკვეულ სიახლოვეს ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელთანაც“ ამჟღავნებს, რადგან ცხოვრებისეულ ღირებულებებს ამ პომების პერსონაჟები განსხვავებულად აღიქვამენ. ორივე თხზულებაში მთავარი ისაა, რომ დაჩაგრულის მხარეს მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანი იჭერს. მათში მძაფრადაა დასმული პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემა. მაგრამ ნოველაში კიდევ არიან სხვა მოქმედი პირობი: კუზმა კილგა, კუზმამრისხანედ წოდებული, კრეისერ „შმიდტის“ კაპიტანი; სოხუმის ქალაქის თავი სამსონ დავანაძე; სოხუმის საბჭოს თავმჯდომარე ბექირბი ჩაჩბა, რომლებიც ზნეობრივი და ადამიანური თვალსაზრისით მიძიმე შთაბეჭდილებას ტოვებენ მკითხველზე; ჰაკი აძბას ბიძა, კაც აძბა; უჯუმ ემხას მცირეწლოვანი და ლილი, რომელსაც ძმა იმდენად ძლიერ უყვარს, რომ მის სახელს, ინტერესებს, სიცოცხლეს საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავს.

ნოველა სინამდვილეში მომხდარ ამბავს ასახავს, მისი მთავარი გმირების პროტოტიპები ნიკოლოზ ემუხვარი//უჯუმ ემხა და სმელ ბადია//ჰაკი აძბა აფხაზეთის მკვიდრები იყვნენ; გემს კი, რომელიც თხზულებაში კრეისერ „შმიდტის“ სახელითაა ცნობილი, „დაკია“

ერქვა. გემი 1918 წლის თებერვალში სურსათისა და სასმელი წყლის მოსამარაგებლად შევიდა სოხუმის ნავსადგურში. ქალაქის ქუჩებში სასეირნოდ გასული მეზღვაურები აფხაზთა ასეულის პორუჩიკს, თეთრგვარდიელის ოფიცრის ფორმაში ჩაცმულ ნიკოლოზ ემუხვარს გადაეყარნენ. რევოლუციონერებმა ოფიცერს სამხრეების მოხსნა უბრძანეს. ემუხვარმა ბრძანება არ შეასრულა, გაგულისებულმა მატროსებმა თავად დააპირეს ოფიცრისთვის სამხრეების ჩამოგლეჯა, რის პასუხადაც ემუხვარმა იარაღი გამოიყენა, ერთი მატროსი მოკლა, მეორე დაჭრა და სასწრაფოდ მიიმალა. რა უფლება ჰქონდა სხვა ქვეყნის წარმომადგენელს, რომ ემუხვარისათვის ეპოლეტების მოხსნა ებრძანებინა? – არავითარი! კაპიტანი და მისი ჯარისკაცები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და თავიანთი იდეების განხორციელება მოინადინეს. ისინი მოძალადეები არიან, ამ დროს იცავს თავს და ღირსებას თეთრგვარდიელის ფორმაში გამონყობილი ნიკოლოზ ემუხვარი, ახალგაზრდა აფხაზი თავადი, თავმოყვარე და ღირსების მქონე კაცი, რომელმაც მრავალი ბრძოლა გამოვლო და შინ უვნებლად დაბრუნდა.

მომხდარმა ამბავმა ქალაქში არეულობა გამოიწვია, სოხუმელმა ბოლშევიკებმა ამით ისარგებლეს და სასწრაფოდ მიტინგი მოაწყვეს. სამხედრო გემმა ულტიმატუმი წამოაყენა, იგი 15000 მანეთს, ნიკოლოზ ემუხვარის მოძებნას და სოხუმის ხელისუფლების რევოლუციური კომიტეტისთვის გადაცემას ითხოვდა. „დაკიამ“ ულტიმატუმი დატოვა და იმავე დღეს სოხუმიდან გაემგზავრა. მცირე ხნის შემდეგ სოხუმში ახალი ნაღმოსანი გემი გამოჩნდა და „დაკიას“ ულტიმატუმის შესრულება მოითხოვა. ნიკოლოზ ემუხვარი ძიძიშვილთან, სმელ ბადიასთან ერთად, დრანდის მახლობლად შეიპყრეს და გემზე აიყვანეს. გემზე ასვლისას ემუხვარმა რევოლვერი ამოიღო და უნტიეროფიცერი კონოვალჩუკი მოკლა, რის შემდეგაც რევოლუციონერებმა ემუხვარი სიცოცხლეს იქვე გამოასალმეს, მაშინვე დახვრიტეს უდანაშაულო სმელ ბადიაც. ამ ამბის მწერლისეულ ასახვაში ადამიანის მთავარ მოვალეობად ადამიანობა, ღირსების შენარჩუნება, ზნეობის დაცვა და ერთგულებაა მიჩნეული. სწორედ ეს ამბავი დაედო საფუძვლად თხზულებას, რომელშიც უჯუშ ემხამ, ნიკოლოზ ემუხვარის მხატვრულმა სახემ, თავისი ღირსება დაიცვა, მომხდურს პიროვნული ღირსება არ შეალახვინა, მის ბრძანებას არ დაემორჩილა და უღირსებოდ ცხოვრებას ვაჟკაცური სიკვდილი ამჯობინა, თავადაც და მისი ძიძიშვილიც პიროვნული ღირსების დაცვას შეენივნენ.

ლეო ქიაჩელის ნოველაში სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალური ძალა ერთმანეთს დრამატულად კვეთს, ხოლო მათი გადაკვეთის ცენტრში ორი თავისუფალი პიროვნების ინტერესები აღმოჩნდა. მწერალმა შეუფერადებლად აჩვენა სოხუმის საზოგადოებისა და მისი მესვეურების ფსიქოლოგია, ზნეობრივი სახე. მათთვის უშფოთველი ცხოვრება იყო მთავარი, მათ სურდათ ჩვეული არსებობის მდორე რიტმის შენარჩუნება, რისთვისაც ყოველგვარ ძალადობას, დამცირებას, შეურაცხყოფას შეეგუებოდნენ და ნებისმიერ ზნეობრივ-მორალურ ღირებულებებს დათმობდნენ. ასეც მოიქცნენ. სინდისის ქენჯნის გარეშე, უყოყმანოდ განირეს თანამოქალაქეები, თანამოძმეები. განსაკუთრებული როლი შეასრულეს ვაჭრებმა, რომლებიც თავიანთი ქონების უსაფრთხოების დაცვას ცდილობდნენ. ნითლების, საბჭოელების მიმართ პანიკურმა შიშმა მლიქვნელ, უთავმოყვარეო, ქალაქის მკვიდრთ ღირსებაზე ააღებინა ხელი და თავიანთი ქმედებით ეს შშიშარა ხალხი მტერს თვითონ იწვევდა სამოქმედოდ. ქალაქისთვისა და საბჭოს თავმჯდომარის საუბარი მოწმობს, როგორ იცილებენ თავიანთ პასუხისმგებლობას, ხოლო საბჭოს მოწვევით, ფაქტობრივად, კოლექტიურ უპასუხისმგებლობას იღებენ. მათი ნამდვილი სახე კრეისერზე დამამცირებელი ვიზიტებისას გამოჩნდა. ქალაქის მკვიდრნი აგრესიულ, დაუნდობელ ბრბოდ გადაიქცნენ, რის შემდეგაც დევნილის გზა-კვალს ეძებენ, რათა კრეისერს გადასცენ და თავად რაც შეიძლება მალე მოიცილონ მათი სიმყუდროვის დამრღვევი პირები.

არც არისტოკრატია იქცევა ღირსეულად, თანაც უფრო მეტად ინიღბებიან, ვიდრე მაღალი თანამდებობის მქონე პირები, და ღირსების დასაცავად მებრძოლ ადამიანებად მოაქვთ თავი. სინამდვილეში არც მათთვისაა ამ ადამიანთა ხვედრი და სიცოცხლე ღირებული. თითქოს უჯუშს თანაუგრძობენ, მაგრამ სინამდვილეში მის გასაწირად მზად არიან. როცა ჰაკის გადანყვეტილება გაიგეს და მიხვდნენ, რომ იგი თავისი ძიძიშვილისთვის თავს განწირავდა და მის ნაცვლად ჩაბარდებოდა, კმაყოფილიც კი დარჩნენ, რადგან მათთვის სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანის ბედი და სიცოცხლე არაფერს ნიშნავდა, მათი აზრით, ეს ასეც უნდა ხდებოდა. სოხუმელი თავადები ადამიანის ბედისადმი გულგრილობასთან ერთად ვინრო თვალთახედვას ამჟღავნებენ, რაც მათ სახეს საზარელ ელფერს ანიჭებს და, ფაქტობრივად, მათი ზნეობა და მორალური სახე არც არაფრით განსხვავდება კუზმა კილგასა და მისი ჯა-

რისკაცების ზნეობრივი სახისაგან. ნოველაში ერთადერთია ჰაკი აძბა, რომელიც იბრძვის უსამართლობის წინააღმდეგ, იცავს ზნეობრივ ნორმებს, თავგანწირვით ცდილობს უჯუშ ემხას გადარჩენას, რითაც მკითხველის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს, რადგან მან იცის, რომ თავის ძიძიშვილს სიცოცხლე უნდა შესწიროს. ახსოვს მამის სიტყვები, მე შენ სიცოცხლე იმიტომ მოგეცი, რომ იგი უჯუშს შესწირო. ეს სიტყვები არაა მონური ფსიქოლოგიის მქონე ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვები, იგი ძიძიშვილობის ერთგულების, მოყვასისათვის თავგანწირვის, ადამიანობისა და ვალდებულებების გამომხატველი სიტყვებია.

ჰაკი აძბა უბრალო, დაბალი სოციალური წარმოშობის პიროვნებაა, მაგრამ მისი სულიერი მზაობაა უზომოდ დიდი. უსწავლელი გლეხი სულიერი სიმდიდრით ბევრად მაღლა დგას მათზე, ვინც სოციალურად და, შესაბამისად, კულტურითაც მასზე მაღლა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ აღმოჩნდნენ, სულიერად ლატაკნი წარმოგვიდგებიან. ჰაკიმ სხვისი პასუხისმგებლობა იკისრა მაშინ, როცა ქალაქის მესვეურები საკუთარ პასუხისმგებლობას გაექცნენ და საერთო, კოლექტიური პასუხისმგებლობით მოინდომეს თავის დაძვრენა. ჰაკი უჯუშის ახლობელ თავადებზე უფრო გონიერი და ღირსების მქონე ადამიანია. მას შეუძლია მოვლენებს მტრის თვალითაც შეხედოს და მოკლული ჯარისკაცი დაიტყოს, ოღონდ თავისი ძიძიშვილი დაიხსნას. მის არსებაში მონობის ნატამალი არაა, მისი დამოკიდებულება უჯუშისადმი მისადმი სიყვარულით, მისადმი ერთგულებითაა განპირობებული. ნაწარმოებში წარმოჩენილ სხვა პერსონაჟებს თუ შევადარებთ ჰაკის, თვალნათლივ დავინახავთ მათ ზნეობრივ სიღარიბეს და სულიერ სიცარიელეს.

ამ მხრივ საინტერესოა კუზმა კილგას სახე, რომელიც, ჰაკის საქციელით გაკვირვებული, მას მონად მიიჩნევს. არადა თვითონაა მონა იმ კლასობრივი და პარტიული ცნობიერებისა, რომელსაც მიეკუთვნება. ეს კომუნისტური იდეოლოგიით შეპყრობილი ადამიანის მონური ფსიქიკაა. მრისხანე კაპიტნის სახელით ცნობილი კილგა სოციალისტური ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანია, რომელიც ნოველის დასაწყისში რომანტიკული იდუმალებით მოსილი კაპიტნად წარმოგვიდგება, მაგრამ უჯუშ ემხასთან დაპირისპირებისას იმ მოჩვენებით იდუმალებასაც კარგავს და მთელი თავისი სულიერი დეგრადირებულობით, გონებაშეზღუდულობით წარდგება საზოგადოების წინაშე. მოძალადე, ჯალათი, სულიერებისაგან დაცლილი ადამიანი ვერ ხვდება

ადამიანურ ღირებულებებს, მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური დოგმები და მოძღვრება იცის, რის მიღმაც ცოცხალ ადამიანებსა და მათ სიმართლეს ვერ ხედავს, სურვილიც არ აქვს, რომ დაინახოს. რევოლუციის მიზანი ხომ სწორედ ჰაკის მსგავსი სოციალური წარმომავლობის ადამიანების ქომაგობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ კილგას სულიერი, ზნეობრივი კრახი ისაა, რომ სწორედ სოციალურად მისი თანასწორი, მისივე მსგავსი წარმომავლობის ადამიანის მიმართ სულიერ სიბრმავეს იჩენს. კაპიტანი, რომელმაც ჰაკი მონად მიიჩნია, თვითონ აღმოჩნდა თავისი დოგმების, აგრესიული, დამპყრობლური პოლიტიკის, ძალაუფლების მოყვარე მონა.

ყურადღებას იქცევს ნოველის დასასრული, რომელიც ავტორს შეაცვლევინეს. პირველ ვარიანტში გემზე აყვანილ ჰაკი აძბას კაპიტანი კილგა კლავს შემდეგი სიტყვებით: „სულ ერთია, ეს მონა ადამიანად არ გამოდგებოდაო“. ცხადია, ამგვარი დასასრული საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო, რადგან ბოლშევიკებს, რევოლუციის მოტრფიალეებსა და განმანათლებლებს, სრულიად უდანაშაულო ადამიანის მოკვლა არ შეეფერებოდათ და ავტორი აიძულეს, დასასრული შეეცვალა, ნოველა ჰაკი აძბას თვითმკვლელობით დაესრულებინა. სრულიად ნათელია, რაოდენ დიდი სხვაობაა ამ ორ დასასრულს შორის. იგი მოწმობს, როგორ იზღუდებოდა მხატვრული სიტყვა კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პერიოდში.

ქართულ ლიტერატურაში ლეო ქიაჩელის ნოველა „ჰაკი აძბა“ ტრაგიკულის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ხორცშესხმაა. ტრაგიკული გმირები, ჰაკი აძბა და უჯუმ ემხა, შეურიგებელნი, დაპირისპირებულნი არიან, ერთი მხრივ, ქალაქის კონფორმისტული საზოგადოების მეშჩანურ უპრინციპობასთან და უღირსობასთან, მეორე მხრივ, ბოლშევიკურ ფანატიზმთან და ადამიანის ღირსების შემლახველ უხეშ ძალასთან. ამ კონფლიქტში მათ მორალურად გაიმარჯვეს, აღმოაჩნდათ ძალა, თავიანთ პრინციპებს მსხვერპლად შესწირვოდნენ. მოვლენის ტრაგიკულობას ისიც განაპირობებს, რომ ადამიანური სიყვარული და ღირსება, ერთგულება, სიმართლე არც ქალაქის საზოგადოებას და არც ბოლშევიკებს არაფრად უღირთ, მარადიულ და ადამიანურ ღირებულებებს ახშობენ, – ამ მხრივ ისინი თანაბრად, გამოკვეთილად საზარელნი არიან, – ხოლო ვის ცხოვრებასაც ღვთაებრივი და ადამიანური ღირებულებები წარმართავს, მათ ყოველი ზემოხსენებული პრინციპის დათმობა არ ძალუძთ.

ვერ შეძლო ჰაკი აძბამ თავისი ძიძიშვილის უჯუმ ემხას სიცოცხლის გადარჩენა, მაგრამ ჰაკიმ თავისი თავგანწირული ერთგულებით უჯუმში სულიერი ძალით აღავსო, მისმა ერთგულებამ და ღირსებით ცხოვრების აუცილებლობის შეგნებამ ღირსეული სიკვდილი შეაძლებინა. მასთან ბავშვობიდან შეზრდილი ჰაკის გამოჩენამ გახადა იგი მშვიდი და თავდაჯერებული, რის შემდეგაც მის ყოველ ქმედებას საკუთარი ადამიანური ღირსების შეგნება წარმართავს. სწორედ ჰაკის წყალობით მოკვდა ამაყად, რითაც თავის ჯალათებზე ზნეობრივი უპირატესობა მოიპოვა.

ლეო ქიაჩელის შემოქმედების კვლევა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში სხვაგვარად, კომუნისტური იდეოლოგიისაგან განსხვავებულად წარიმართა, რამაც მკითხველს მისი მხატვრული მემკვიდრეობის არსი სწორად დაანახა.

ქართველი მწერალი, ესეისტი, ფილოსოფიის დოქტორი, კონსტანტინე გამსახურდია (1891-1975) ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ავტორია, რომელმაც მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მან განათლება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში მიიღო, ერთხანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და გადასახლებული. ამის გამო ზოგჯერ სამწერლო ასპარეზზე კომპრომისული ნაბიჯიც გადაუდგამს, კერძოდ, 30-იან წლებში მიმდინარე რეპრესიების დროს „ბელადის“ წერა დაიწყო, რომელიც ტრილოგიად ჰქონდა ჩაფიქრებული და მხოლოდ ერთი ნაწილი გამოაქვეყნა, მაგრამ როგორც კი გადაიარა რეპრესიულმა ტალღამ, მისი განახლება და დასრულება არც უფიქრია. თავისი ცხოვრებისეული რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა მან ასახა მოგონებათა წიგნში „ლანდებთან ლაციცი“, რომელსაც მწერლის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის სრულყოფილად შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კონსტანტინე გამსახურდიამ საგანგებოდ აღნიშნა, რომ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა „ქართლის ცხოვრებამ“, რომელიც სრულიად ახალგაზრდას, შეიძლება ითქვას, ბავშვს, ნაუკითხავს და საქართველოს ისტორიის მხატვრულ სიტყვაში გაცოცხლება მაშინვე განუზრახავს. ამ თვალსაზრისით მისი მემკვიდრეობა განსაკუთრებით ღირებულია, მან ისტორიულ თემაზე შექმნა რომანები „დიდოსტატის მარჯვენა“ და ტეტრალოგია „დავით აღ-

მაშენებელი“, დაიწყო, მაგრამ ვერ მოასწრო თამარ მეფის შესახებ რომანის – „თამარ“ – დასრულება.

კონსტანტინე გამსახურდია ქართულ მწერლობაში ნოველებით შემოვიდა, რომლებმაც იმთავითვე მიიპყრეს საყოველთაო ყურადღება. „ტაბუ“, „ლილ“, „პორცელანი“, „მკედართან შეხვედრა“, „დიდი იოსები“, „ზარები გრიგალში“, „ქოსა გახუ“ ერთდროულად ასახავენ ტრადიციებსა და ეპოქალურ სიახლეებს, სიკეთისა და ბოროტის ბრძოლასა და ურთიერთმიმართებას, ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანების ტრაგიკულ ცხოვრებას, სოციალურ-პოლიტიკურ-კატაკლიზმებს, ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რითაც ყოველი პერსონაჟი მისი ნოველებისა ინდივიდუალურ სახეს ატარებს. „ხოგაის მინდია“ არის მითოსურ საბურველში გახვეული ნოველა, რომელიც გმირის იდეალისა და სიყვარულის მარადიულობის ასახვას ეძღვნება.

უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიას დიდი მწერლის სახელი მაინც რომანებმა მოუტანა. „დიონისოს ღიმილი“ ქართული რომანისტიკის ისტორიაში უდიდესი სიახლეებით გამორჩეულ პერიოდში შექმნილი პირველი დიდტანიანი ნაწარმოებია, რომელშიც მხატვრული წარმოსახვის უმთავრეს საგნად ნაწილობრივ არაქართული სინამდვილე იქცა. მასში XX საუკუნის 10-იან წლებში ევროპის უდიდეს სახელმწიფოებში, საფრანგეთში, გერმანიაში და იტალიაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული პროცესებია ასახული და იქ არსებული სულიერი კრიზისია ნაჩვენები. მთავარი მოქმედი პერსონაჟი კონსტანტინე სავარსამისძეა, რომელიც, ავტორისავე თქმით, ზედმეტი ადამიანის ტიპია, რაც მიხეილ ჯავახიშვილისეულ „ნაკაცარსა“ და დემნა შენგელაიას „ყოფილი ადამიანის“ ცნებებშიცაა განსახოვნებული. იგი ფუნქციადაკარგული ადამიანია, რომელმაც, ყველაზე დიდ, კულტურულ ცენტრებში აღზრდილმა, მთელი ევროპა მოიარა, მაგრამ თავის ირგვლივ მარადიული და ღირებული ვერაფერი დაინახა, ქართველი გუდამქიერი აზნაურის ფსიქოლოგიას თავი ვერ დააღწია. მისი პიროვნული ტრაგედია მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მაგრამ უმთავრესი ეროვნული და სოციალური განწირულობის განცდაა, რაც ახალმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ მოიტანა. ცხოვრების ურბანისტულმა წესმა, რომელსაც ევროპის ქვეყნებში შეეჩვია, და მის პარალელურად, ეროვნული ფესვებისაგან პიროვნების მოწყვეტის ტრაგიკულმა თვითგანცდამ მასში ცხოვრებისადმი ინტერესი, მო-

მავლის რწმენა ჩაკლა. მასში არა მხოლოდ კერძო პიროვნების მწვავე განცდები იკითხება, არამედ მთელი საზოგადოების დაცლა სულიერებისაგან, უფერული წარსულის აჩრდილებად ქცევაც ირეკლება. წამებული წმინდანების, დავითისა და კონსტანტინეს ჩამომავალმა სავარსამისძემ ცხოვრების მიზანი დაკარგა, ყოველდღიურობაში შთაინთქა, რაშიც მომავალს ველარ ჭვრეტს, რის გამოც რომანის დასასრულს მწერლის მიერ პერსონაჟის ენით გამონათქვამი – „ცხოვრების შუა გზაზე შემომალამდა“ – მეტაფორულ ხასიათს იძენს. ახალგაზრდა კაცმა სამყაროში ადგილი ვერ იპოვა. რომანის ფორმაც საყურადღებოა, ერთიანი სიუჟეტური ხაზი არ კრავს, დღიურების, ჩანახატების, ამბების ეპიზოდური გადმოცემის სახით დანერილი მოდერნისტული რომანია. ვფიქრობ, რომ იგი ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში, სამეცნიერო ლიტერატურაში არაა სათანადოდ შეფასებული და განხილული.

დიდი პოპულარობა ხვდა წილად კონსტანტინე გამსახურდიას რომანებს „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“. თვითონ ავტორი „მთვარის მოტაცებასა“, და „დიდოსტატის მარჯვენას“ თავისი შემოქმედების მწვერვალად მიიჩნევდა. „მთვარის მოტაცებაში“ ასახა კომუნისტური იდეოლოგიისა და მის მსახურთა კრიტიკა, ამხილა ის მანკიერებები, რასაც მწერალი თავის ირგვლივ ხედავდა. რომანს ორი ცენტრალური პერსონაჟის ქმედება წარმართავს, ისინი განსხვავებული სოციალური წარმომავლობისა და განათლების მქონე ადამიანები არიან, ერთმანეთთან ძიძიშვილობა აკავშირებთ, რაც ქართველი კაცის ცხოვრებისა და ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია. თარაშ ემხვარი და არზაყან ზვამბაია ერთმანეთის დაპირისპირებულ პერსონაჟებადაც წარმოგვიდგებიან, მათი ცხოვრების გზა ადრევე გაიყარა, განსხვავებული ინტერესები აქვთ და ცხოვრების სხვადასხვა გზაც აირჩიეს. არზაყანი საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში დგას, ამით მამამისი კაც ზვამბაია არაა აღფრთოვანებული, მაგრამ შვილზე ამოსდის მზე და მთვარე, რის გამოც მისი ყოველი ნაბიჯი, მიუღებელიც კი, ზედინევნით იცის; თარაში ცხოვრების საზრისის ძიებაში იმყოფება, რაც, თავისთავად ცხადია, ართულებს მის ყოფას. ევროპაში წლობით ნამყოფს და დასავლური განათლების მქონეს სამშობლოში ადგილის დამკვიდრება უჭირს. არზაყანთან მის დაპირისპირებას თამარ შერვაშიძისადმი სიყვარულიც განსაზღვრავს. ფაქტობრივად, ძიძიშვილებს, რომლებ-

იც ტრადიციულად ძმებად ერგებიან ერთმანეთს, ერთი და იგივე ქალი უყვართ, რომელიც მაღალი არისტოკრატიული წრეს ეკუთვნის. შესაბამისად, არზაყანთან მის ურთიერთობას მომავალი არ აქვს, მაგრამ არც თარაშთან ურთიერთობა აღმოჩნდა სასიკეთო, რადგან მათი დაუბადებელი შვილის მოლოდინში თამარ შერვაშიძე ტრაგიკულად გარდაიცვალა. არზაყან ზვამბაიამ თავისივე წოდებისა და სოციალური სტატუსის მქონე ქალი, ძაბული შეერთო ცოლად.

რომანში შთამბეჭდავი სახეა კაც ზვამბაია, რომელიც ტრადიციების მიმდევარი ადამიანია, თავისი წოდებისათვის შესაფერისი ხალხური განათლება აქვს მიღებული და სიდინჯე-სიდარბაისლე მოსდგამს, უკიდევანოდ უყვარს შვილი და გაზრდილი, ერთმანეთისაგან ვერც არჩევს. მაგრამ მისთვის ახალი წყობა, უღმერთოდ, რწმენის გარეშე ცხოვრება და ოჯახის საფუძვლების რყევა მიუღებელია. კომუნისტურმა იდეოლოგიამ მამა-შვილი ერთმანეთს გადაჰკიდა, რის გამოც რომანს ორი ვარიანტი ჰქონდა. პირველ ვარიანტში არზაყან ზვამბაია კლავდა მამას, რაც საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან მას მამხილებლის მხატვრული ფუნქცია ეკისრებოდა და მწერალი იძულებული გახადეს, ეპიზოდი შეეცვალა; ახალი ვარიანტის მიხედვით, კაც ზვამბაია ტარბების, არზაყანის მტრების ხელით იქნა მოკლული. ყოველივე ეს მოწმობს ძველი და ახალი საზოგადოებრივი წყობის დაპირისპირებას, შეუთანხმებლობას, რამაც ადამიანთა დახოცვა და განადგურება გამოიწვია. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით ქორა მახვშის კომპკში გამართულ საუბრებში მჟღავნდება. ეს იმასაც მოწმობს, საბჭოთა ხელისუფლებისა და იდეოლოგიის პირობებში თუ როგორი მძიმე იყო ხელოვანის ხვედრი და შემოქმედის თავისუფლების კოეფიციენტი კი დამცრობილი. არზაყან ზვამბაია თავისი ცხოვრებისეული მრწამსითა და მსოფლმხედველობით, პრაქტიკული საქმიანობით მხოლოდ სისხლსა და უზნეობაზე აგებს თავის და საზოგადოების მომავალს. იგი ახალი ეპოქის მიერ შექმნილი დიქტატორის ტიპია, ახალი ხელისუფლების მიერ აღზევებული მოძალადე, რომელშიც ახალი ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი საზოგადოების კრებითი სახეა განივთებული. მოძალადეა სიყვარულშიც, რასაც თანშეზრდილი თამარ შერვაშიძისადმი მისი დამოკიდებულებაც მოწმობს. რომანმა დიდი პოპულარობა მოიპოვა, რასაც მისმა ეკრანიზაციამაც შეუწყო ხელი.

მკითხველის განსაკუთრებული სიყვარული ხვდა წილად „დიდოსტატის მარჯვენას“, რომელიც მეოცე საუკუნის ქართული პროზის მშვენიერად ითვლება. კონსტანტინე გამსახურდია ამ რომანით ისტორიული რეალობისა და შუასაუკუნეების კულტურის ბრწყინვალე მცოდნედ, გარდასულ სახეთა გაცოცხლების, მათთვის უკვდავი სულის შთაბერვის სწორუპოვარ ოსტატად წარმოგვიდგება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი რამ ისტორიული სინამდვილისა შეცვლილია და ქართველი ერის გამორჩეულ პირთა სახეები დამცრობილი და დაკნინებულია. მხედველობაში მაქვს მელქისედეკ კათალიკოსისა და მარიამ დედოფლის მხატვრული სახეები, რასაც ახსნა, ცხადია, აქვს. მწერლის ისტორიული რომანები იმით განსხვავდებიან ისტორიულ თემაზე ჩვენში ადრე შექმნილი თხზულებებისაგან, რომ მათში პირველად გადაილახა ის ზღვარი, რომელსაც ისტორიზმის ტყვეობაში მყოფი მწერლები აღმართავდნენ ხოლმე მეფე-დიდებულებსა და მდაბიოთა შორის. კონსტანტინე გამსახურდიამდე იშვიათად ვინმეს დაეხატოს ასეთი ცხოველმყოფლობით მეფე-ადამიანი: ტრადიციული სქემატურობით და ფრესკული ერთპლანოვნებით კი არა, არამედ თავისი ადამიანური თვისებებითა და წინააღმდეგობრივი ბუნებით. ამ მხრივ მის წინამორბედად ვასილ ბარნოვის „ტრფობა ნამებული“ შეიძლება ჩაითვალოს.

„დიდოსტატის მარჯვენაზე“ მუშაობა მწერალმა 1938 წელს დაიწყო და იმავე წელს დაასრულა. „მნათობში“ რომანის გამოქვეყნება დაემთხვა მწერლის ვაჟის, საქართველოს მომავალი პრეზიდენტის, პირველი პრეზიდენტის, დაბადებას 1939 წლის 31 მარტს, რომელსაც თავისი ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის სახელი, ზვიად სპასალარის სახელი დაარქვა.

რომანის სიუჟეტი ემყარება XI საუკუნის 10-იან წლებში ახალგაზრდა ხუროთმოძღვრის მიერ სვეტიცხოვლის აგების ლეგენდას და ხალხურ ლექსს: „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“. ეს პათოსი წარმართავს კონსტანტინე არსაკიძისა და გაერთიანებული საქართველოს მეფის, გიორგი პირველის შესახებ დაწერილ რომანს. მისი მოქმედება მეთერთმეტე საუკუნეში ხდება; იგი არსაკიძის საქმიანობასთან ერთად გიორგი პირველის შესახებაც მოგვითხრობს. მეფე მრავალი დაუძლეველი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, მას შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ უწევდა ბრძოლა. მათ შორის სხვა-

დასხვა მთიელი ტომის, განსაკუთრებით ფხოვის, იგივე ფშავისა და ხევსურეთის, პერიოდული აჯანყებების ჩახშობა უწევდა.

რომანის მიხედვით, მართალია, გიორგი ქრისტიანია, მაგრამ ორთოდოქსულ რწმენაში მყოფად არ წარმოიდგინება, არაა ისეთი მორწმუნე, როგორც მისი მეუღლე მარიამ დედოფალი. იგი ფხოვის აჯანყების ჩასახშობად ყოველგვარ ხერხს, აკრძალულ მეთოდებს იყენებს. რომანის დასაწყისში მეფე გიორგის სტუმრობს დიდგვაროვანი ფეოდალი მამამზე ერისთავი, რომლის ერთგულებაშიც მეფეს ეჭვი ეპარება. მამამზე კარგა ხანს მეგობრობდა მეფე გიორგისთან, ამიტომ მეფეს მისი აჯანყება და შინაგანი წინააღმდეგობა ძლიერ აწუხებდა. გიორგის აქვს სხვა პრობლემებიც: საქართველოს უმძიმესი პოლიტიკური ვითარება და ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან, რადგან თბილისი ამ დროს არაბებს ეპყრათ ხელთ, ხოლო ბიზანტიის იმპერატორ ბასილი მეორეს მისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი, ტახტის მემკვიდრე ბაგრატი მძევლად ჰყავდა. მამამზეს შვილი, ჭიაბერი, აჯანყების ერთ-ერთი მთავარი ძალაა, თალაგვა კოლონკელიძესთან – კვეტარის ერისთავთან ერთად, რომლის მხოლოდმობილი ასული შორენა ჭიაბერზე იყო დანიშნული. საქართველოს კათოლიკოსი მელქისედეკი ციხესიმაგრეში ეახლა მამამზეს, რათა მთავრები დაერწმუნებინა, მეფის ერთგულებაზე დაეფიცათ და ქრისტიანობა ელიარებინათ. ამის დასტურად მეფემ მოითხოვა, მამამზეს შვილი ჭიაბერი მის გაგზავნილ ძელიცხოვლის ჯვარს მთხვეოდა, რის შემდეგაც იგი სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. მამამზეს ოჯახი მიხვდა, რომ ჯვარი მონამღვრე იყო. ზვიად სპასალარმა მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ მოახერხა აჯანყების ჩახშობა და მეამბოხეთა დასჯა.

გიორგი მეფე აგრძელებდა საეკლესიო მშენებლობას, რასაც თავის ხუროთმოძღვართუხუცესს, ფარსმან სპარსს ავალებდა, ფარსმანს, რომელიც სინამდვილეში სპარსი კი არა, ქართველი დიდაზნაური იყო. ფარსმანი ტრაგიკული პიროვნებაა, სხვადასხვა მიზეზის გამო მან მრავალ ქვეყანაში იმოგზაურა, ჩინებული განათლება მიიღო, მრავალ მეფესთან და ხალიფასთან იმსახურა, მაგრამ ბოლოს მაინც სამშობლოს დაუბრუნდა, ოღონდ საკუთარი ვინაობა, წარმომავლობა დამალა და ფარსმან სპარსი დაირქვა. სწორედ მისთვის აპირებდა მეფე გიორგი სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის მინდობას. მაგრამ შემთხვევამ გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ერთხელ ნადირობისას მეფე ახალგაზრდა ლაზს წააწყდა, რომელიც უცნაუ-

რად იქცეოდა, რითაც მეფის ყურადღება მიიპყრო, იგი ხუროთ-მოდღვარი აღმოჩნდა, მისი აგებული ორივე ტაძარი – ცხრაკარისა და ითვალისისა – გიორგის ძლიერ მოსწონდა; მეფემ მასში შემოქმედის, ხუროთმოდვრის ნიჭი და უნარი დაინახა და სვეტიცხოვლის აგება დაავალა. სვეტიცხოველი ქართული საეკლესიო ხუროთ-მოდღვრების სტილის კვალობაზე უნდა აშენებულყო. არსაკიძე შეუდგა კიდეც მშენებლობას, რაც დეტალურადაა ასახული ნაწარმოებში. რომანის მოქმედება უფრო გაამძაფრა მეფესა და ხუროთ-მოდღვარს შორის ქალისადმი, კვეტარის ერისთავის ასულის, შორენა კოლონკელისძისადმი სიყვარულმა. ხელოვნებას გადაგებულმა კონსტანტინე არსაკიძემ მეფის ინტრიგები ვერც კი შენიშნა, რასაც, ფაქტობრივად, მისი სიცოცხლე შეენირა კიდეც. მეფემ ახალგაზრდა ხუროთმოდღვრისათვის მარჯვენა ხელის მოკვეთა ბრძანა. მონაზვნად აღკვეცილი შორენა, რომელმაც მეფის სიყვარული არ მიიღო, არსაკიძისა და თავის შესახებ გავრცელებული ჭორის გაგების შემდეგ ქარაფიდან გადახტა და სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. თვით მეფე გიორგი, შორენას შემზარავი სიკვდილის შეტყობის შემდეგ, სანადიროდ წავიდა თავის ერთგულ მეაბჯრესთან, პიპასთან, ერთად და სრულიად ახალგაზრდა, 25 წლის ასაკში, ნაწლავების გადახლართვით ტყეში გარდაიცვალა.

ყოვლისმომცველია სიკვდილის წინ მეფის მიერ წარმოთქმული მონოლოგი, რომელშიც გაცხადებულია არა მხოლოდ ქართველთა მეფის სწრაფვა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობოსაკენ, ერის დასაცავად მიმართული ქმედებები, არამედ ქართველი ერის მრწამსი, არსი, საზოგადოდ, ადამიანის არსებობის აზრი და დამოკიდებულება ღმერთის, სამყაროსა და ადამიანისადმი. ხშირად აღუნიშნავთ, რომ რომანი მართალი სიტყვა იყო განწირული ხელოვანის ბედის შესახებ მეფის ტირანულ სახელმწიფოში. ასეცაა, ოლონდ მწერალმა ამაში თავისი ეპოქის სატიკივარიც ჩააქსოვა. მეფემ, რომელსაც ავტორმა, ისტორიკოსის კვალობაზე, „უშიშო, ვითარცა უხორცო“ უწოდა, თავის მონოლოგში მოინანია ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი ყველა ცოდვა. განსაკუთრებით განიცდიდა სულიერად მდიდარ ადამიანთა სასიკვდილოდ გამეტებას, რომელთა შორის კონსტანტინე არსაკიძეც შეიცნობა: „დიდკაცი ვინმე თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტინთ, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.

ერთი დიდი ღირსება ჰქონდა მეფე გიორგის, ვერ ეგუებოდა მტრის უღელს და გამუდმებით იბრძოდა საქართველოს დამოუკი-

დებლობისა და ერთიანობისათვის, არ ეპუებოდა ძლიერ იმპერიას ბიზანტიისა, რომელიც მისგან მუდმივად ქვეშევრდომულ დამოკიდებულებას მოითხოვდა. მწერალმა გიორგი მეფის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი საქმიანობა და მოღვაწეობა სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩინა: დიდგვაროვანთა წინააღმდეგ შეურთებელი მებრძოლი; გარეშე მტრებთან, კერძოდ, ბიზანტიასთან დაპირისპირებით-მა უკომპრომისო დამოკიდებულებამ ასევე ძლიერი მეფის სახელი დაუშკვიდრა; გიორგი მეფე ჩანს სასულიერო წოდებასთან ურთიერთობის ფონზეც, არც სასულიერო პირებს უწევს ანგარიშს, თუ საქმე საქართველოს ერთიანობასა და დამოკიდებლობას ეხება; და ბოლოს, გიორგი მეფე ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის ტრაგიკული ხვედრითაც წარმოჩნდება, რომელსაც პოლიტიკური ინტერესებით შერთეს ცოლი, ხოლო როცა ნამდვილი სიყვარული ეწვია, ყველაფერი გააკეთა საყვარელი ქალის თანაგრძნობის მოსაპოვებლად, მაგრამ ეს გვირგვინოსნისთვისაც შეუძლებელი აღმოჩნდა, უკვე სიტყვა აღარ ეთქმოდა, რადგან მის სიყვარულს მეფის უპირველესი მოვალეობა, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლა, გადაეღობა წინ. რომანში ჩაქსოვილი ალეგორია პოლიტიკური წრეებისათვის თვალში საცემი იყო, რადგან ბიზანტიაში ნებისმიერი დამპყრობელი ქვეყნის დანახვა შეიძლებოდა, განსაკუთრებით საბჭოთა იმპერიისა, რეპრესიული პოლიტიკის პერიოდის იმპერიისა, რომლის არსებობისას იქმნებოდა რომანი. მაგრამ თხზულებას მაინც დიდი წარმატება ხვდა წილად და საბჭოთა ისტორიული პროზის მიღწევად იქნა მიჩნეული. თუმცა, წარმატების პარალელურად, თხზულებას კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ, ოღონდ სხვა კუთხით. რუსმა ლიტერატურათმცოდნემ ვ. შკლოვსკიმ „დიდოსტატის მარჯვენისა“ და „დავით აღმაშენებლის“ შესახებ განაცხადა, რომ ავტორმა განგებ არ ასახა X-XI საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები, რაზეც კ. გამსახურდიამ სრულიად მართებულად უპასუხა, რომ არც ერთ ცნობილ ქართულ თუ უცხოურ წყაროში რუს-ქართველთა შორის იმდროინდელი ურთიერთობის რაიმე ნიშანწყალი და კვალი არ არსებობდა. მეტიც შეიძლებოდა თქმულიყო, იმ საუკუნეებში რუსეთის სახელმწიფო არც არსებობდა, ხოლო კიევის რუსეთი ის-ის იყო იწყებდა თავის ისტორიას და ქრისტიანობაც ახალი მიღებული ჰქონდა.

კ. გამსახურდიამ კიდევ დანერა ერთი რომანი, „ვაზის ყვავილობა“, რომელიც XX საუკუნის შუა ხანების პოლიტიკურ-სოციალურ

ვითარებას ასახავდა და რომლის სათაურიც, სხვა რომანების მსგავსად, საკმაოდ მეტაფორულადაც გაიაზრება, თუმცა, თხზულებამ პოპულარობა ვერ მოიპოვა. აქვე უნდა აღინიშნოს კ. გამსახურდიას პოეტური მემკვიდრეობაც, რომელთაგან უნდა დავასახელო მისი ძალზე პოპულარული და განთქმული უსათაურო ლექსი „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას“, „ისლის სახლი, ისლის სახლი“, ესეები ქართული ენის, შოთა რუსთველის შესახებ, რომლებიც მწერლის ეროვნულ სულისკვეთებას გამოხატავენ.

ცხადია, XX საუკუნის I ნახევრის ქართული ლიტერატურა ყოველთვის ეხმიანებოდა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს, მასთან ერთად წარმართავდა კაცობრიობის სულიერ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. ქართულმა პროზამ მსოფლიო ლიტერატურას ბევრი მაღალმხატვრული თხზულება შესძინა. საბჭოთა კავშირში არსებულმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა თავისი უარყოფითი დადი დაასვა პიროვნებას, მის ცნობიერებას, გაღრმავდა სულიერი და მსოფლმხედველობრივი კრიზისი, რის გამოც ახალი ათასწლეულის, ახალი საუკუნის გადასახედიდან, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქის პოზიციებიდან იგი პირუთვნელ შეფასებას მოითხოვს. ვფიქრობ, ლიტერატურა წინ უსწრებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებს, იგი წინასწარმეტყველურია. ამ თვალთახედვით ხელახლაა საკვლევი და გასაანალიზებელი მთელი ქართული ლიტერატურა, განსაკუთრებით XX საუკუნის მხატვრული მემკვიდრეობა. მწერალი ხომ თავისი ეპოქის სატიკვარის გარდა, საუკუნეებს სწვდება და სათქმელს სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტებში გადმოსცემს, მისი ყოველი ღირებული ნაწარმოები სულიერ-ინტელექტუალური ელიტარული საზოგადოების სულიერ საზრდოს წარმოადგენს. მკითხველის შემოქმედებითი აქტივობის ზრდა და კრიტიკული აზროვნების სწორად წარმართვა მხატვრული ლიტერატურის აღქმის საფუძველს ამზადებს, რაც დამოკიდებულია ლიტერატურული თხზულების ხარისხზე, მხატვრულ დონეზე, ესთეტიკურ ფენომენზე, კრიტიკული აზროვნების მართებულობაზე, რომელთა ერთიანობის გარეშე ადამიანის ინტელექტის ამაღლება წარმოუდგენელია. ამიტომ მიმაჩნია საჭიროდ წინა საუკუნეში შექმნილი ლიტერატურის ახალი თვალთახედვით შესწავლა და კვლევა, რის მოკრძალებული ცდაც არის ეს ნაშრომი.

13 მარტი, 2016 წელი.